# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№107 (9787) 2024 წლის 18 სექტემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


მიხეილ გამყრელიძე

## წერილი ნიუ იორკიდან ბლუ და ყრუ ოპოზიციის გასაგონად

# რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა...

**საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, 1918 წლის ზაფხულში, ცნობილმა ბოლშევიკმა ალექსი გეგეჭკორმა, ლავრენტი ბერიას მეუღლის ნინოს ბიძამ, რომლის სახელსაც საბჭოთა წლებში მარტვილი ატარებდა, დასავლეთ საქართველოში წითლების მხარდამჭერები შეკრიბა და საბჭოთა ხელისუფლების დასახმარებლად ვლადიკავკაზისკენ გაემართა მამისონის უღელტეხილზე გავლით. გზად მის რაზმს რაჭა-ლეჩხუმშიც შეუერთდნენ მომხრეები. ონში რომ შევიდნენ, მას იქაური ებრაელების თავკაცი შეეგება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საშა ბატონო! აბა რავა, სულ მენშევიკებმა უნდა გვჭამონ?“**

ამ ამბიდან ორწელიწადნახევარში იმავე მამისონის უღელტეხილით ონში ბოლშევიკები შემოვიდნენ, თუმცა ამას ონელებისთვის სიკეთე არ მოუტანია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, საშა გეგეჭკორმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში დაუსვა წერტილი თავის სიცოცხლეს!..

მარტვილს, სენაკს და ხონს ისევ ძველი სახელები დაუბრუნდა, ონელი ებრაელებიც უკვე დიდი ხანია ისრაელში ცხოვრობენ, აბა რამ გამახსენა ეს ამბავი?

იმან, რომ ოპოზიციის მხრიდან ხშირად გაიგონებ: გვეყო „ქართული ოცნების“ თორმეტწლიანი კორუფციული მმართველობა, დროა მათ მაგივრად ახალი მთავრობა მოვიდესო. ამის საწინააღმდეგო ბევრს არაფერი აქვს, მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით: ახლები ძველებზე უკეთესი თუ არა, უარესები მაინც არ უნდა იყვნენ. როგორია ამ მხრივ ჩვენი შანსები ოქტომბრის არჩევნების მოლოდინში, ისე ხომ არ შეიძლება მოხდეს, რომ უკეთესების მაგივრად ხელისუფლებაში ბევრად უარესები მოვიდნენ?

ამ ცოტა ხნის წინ ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი გამოდიოდა სიტყვით პარლამენტში და ქაღალდით ხელში უმტკიცებდა დანარჩენებს, რომ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა და ცხოვრების დონე მხოლოდ 4%-ით გაიზარდაო!.. სტატისტიკა კი გვიჩვენებს, რომ თუ თორმეტი წლის წინ თბილისში 200 ათასი მანქანა დადიოდა, ახლა მათი რიცხვი 650 ათასს შეადგენს, ანუ 350%-ითაა გაზრდილი, რაც თვითონაც კარგად იცის. აბა რას მივაწეროთ ასეთი სულელური დემაგოგია? ჭკუამჩატობას? უპასუხისმგებლობას? არასერიოზულობას?

იხ. მე-3 გვ.




3



4

## მასშტაბური თაღლითობა თბილისში

სამშენებლო კომპანიის დირექტორი და მოადგილე მოქალაქეებზე ყიდდნენ იმ ბინებს, რომლებიც სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული

## საერთაშორისოდ აღიარებული თვალსაჩინო მეცნიერი

5



ავთანდილ კორახაშვილი



## ვინ გაბედავს ოპოზიციიდან ირაკლი კობახიძესთან დებატებში მონაწილეობას?

ოპოზიციის ყალბი ლაქლაქი „ოცნების“ სასარგებლოდ მუშაობს!

ნუგზარ რუხაძე

## გერმანულ ელიტას ნერვები უმტყუნა

3

## „გვესმოდეს ერთმანეთის!“

9



ნიკა ემუხვარი

## ჩვენი ოჯახის უროლოგი

არჩილ ჩხოტუა

6

## პროსტატის კიბო განკურნებადია!

## ჯარისკაცობა უდიდესი პრივილეგიაა

7




## ირაკლი კობახიძე: სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ბიზნესის თავისუფლება, მშვიდობა და სტაბილურობა თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებას საფრთხე არ შეექმნას

**ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის იმისათვის, რომ ყოველ ჯერზე მივიღოთ მაქსიმალურად კარგად გააზრებული და სწორი გადაწყვეტილებები, ეს ქვეყანაში ეკონომიკის და ბიზნესის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბიზნესასოციაციის კონფერენციაზე – „როგორ შევინარჩუნოთ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

**მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ ზრდაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება, რისთვისაც ყველა პირობა არსებობს.**

**„ეკონომიკის, ბიზნესის განვითარება არის საუკეთესო გზა იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული პრობლემები მოვაგვაროთ, აღმოვფხვრათ სიღარიბე და უმუშევრობა, ხელი შევუწყოთ ადამიანების დასაქმებას. მომავალშიც, რა თქმა უნდა, მზად ვართ ასეთი კომუნიკაციისთვის. ნებისმიერ დროს ღია ვართ ბიზნესთან ურთიერთობისთვის და ნებისმიერი საკითხის განსახილველად. მთავარია 3 ფაქტორი, რაც არის მნიშვნელოვანი ქვეყანაში ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებისთვის. ეს არის პირველ რიგში სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, მეორე – ბიზნესის თავისუფლება, მესამე – მშვიდობა და სტაბილურობა ქვეყანაში. ეს სამივე ფაქტორი თანაბრად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებას არ შეექმნას რაიმე საფრთხე“...**

მისივე თქმით, ხელისუფლებას აქვს გააზრებული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ასევე შექმნილია სტაბილური გარემო ეკონომიკის განვითარებისთვის და ბიზნესის კეთებისთვის.

„სტაბილურობის გარანტიები კონსტიტუციის დონეზეც კი არის შექმნილი ბიზნესისთვის და რა თქმა უნდა, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კანონმდებლობის, ბიზნესგარემოს სტაბილურობის ხელშეწყობა და არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. ვფიქრობ, კანონმდებლობა არსებითად არის სწორად მორგებული ბიზნესის ინტერესებს. თუ რაიმე შენიშვნები იქნება ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მუდმივ რეჟიმში მთავრობაც და პარლამენტიც მზად ვართ თანამშრომლობისთვის. გარდა ამისა, ხელისუფლებას აქვს მთელი რიგი სპეციალური პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებას, როგორიც არის, მაგალითად სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამები, ბიზნესის, მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამები და ა.შ. ამ მიმართულებითაც, რა თქმა უნდა, აქტიური მუშაობა გაგრძელდება“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**პრემიერ-მინისტრი ასევე შეეხო სიღარიბის მაჩვენებლებს და აღნიშნა, რომ 2012 წელს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი 30% იყო, რაც გასული წლის მონაცემებით, 11.8 %-მდე არის შემცირებული.**

**„1 120 000 ადამიანი ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს მიღმა 2012 წლისთვის საქართველოში და ახლა, ეს მაჩვენებელი შემცირებულია 440 000-მდე 680 000 ადამიანი ამოვიდა აბსოლუტური სიღარიბიდან, რაც არის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა, თუმცა, თავისთავად ის, რომ 440 000 ადამიანი ჯერ კიდევ ცხოვრობს აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა, არის მთავარი გამოწვევა და ჩვენთვის მთავარია, ამაზე მაქსიმალურად ვიზრუნოთ. იმ ტემპის გათვალისწინებით, რაც გვაქვს დღეს, ვფიქრობ, სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია საშუალოვადიან პერსპექტივაში. მთავარია, ეკონომიკური ზრდის ტემპი შევინარჩუნოთ,“** – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებაზე.

მისივე თქმით, ყველა მიმართულებით, მათ შორის, ფისკალური კონსოლიდაციის კუთხით, ქვეყანას აქვს ძალიან კარგი მონაცემები.

„პროდუქციის გამოშვება 1-წლიან პერსპექტივაში, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შეფარდებით, 12.5 %-ით გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 10.3%-ით და ა.შ. ასევე, ფისკალური კონსოლიდაციის კუთხით გვაქვს ძალიან კარგი მონაცემები, მიზნობრივ მაჩვენებელს ქვემოთ არის საგარეო ვალი, ინფლაცია, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ბიუჯეტის დეფიციტი, ყველა კუთხით გვაქვს ძალიან კარგი გარემო იმისთვის, რომ სტაბილურად შევინარჩუნოთ ეკონომიკის ზრდა.“

**„ბევრ რამეს გადაწყვეტს არჩევნები. საპარლამენტო არჩევნები იმართება დაახლოებით ექვს კვირაში. მე ვერ ვისაუბრებ პოლიტიკური პარტიების შანსებზე, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ზოგადად, სტაბილურობის შენარჩუნება არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვერ გეტყვით, რამდენი პროცენტი ენდობა მმართველ პარტიას, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ხელისუფლების მიმართ ნდობის მაჩვენებელი არის დაახლოებით 60%, რაც ისტორიული მაქსიმუმია 2012 წლის შემდეგ. ვფიქრობ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ ქვეყანაში პროცესები სტაბილურად განვითარდება“.**

**ბიზნესასოციაციის კონფერენციას ბიზნესასოციაციის წევრები, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები დაესწრნენ.**

## კვირის ციტატა

### ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით!

– ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით. მშვიდობიანი გზა გულისხმობს მხოლოდ შერიგების გზით სიარულს. შერიგება კი გულისხმობს სინანულს და ურთიერთპატიებას. ეს არის გზა, რომელიც მიგვიყვანს ერთიან საქართველოსთან. გარკვეულწილად იყო სახის ჩვენება ოპოზიციის და რაც კიდევ უფრო სკანდალურია, არასამთავრობო სექტორის, რომ სინამდვილეში,



მათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანი გზა არც კი ესახებათ. შეგახსენებთ, ეს ხალხი, მათ შორის „ენჯეოს“ წარმომადგენლები უკრაინაში ომის დაწყებისთანავე ამბობდნენ, რუსეთი ახლა დასუსტებულია და შესაძლებლობის ფანჯარა უნდა გამოვიყენოთო, იარაღი უნდა ვიყიდოთ და შევვარდეთ ერთ, თუ მეორე ტერიტორიაზეო. ამით აჩვენებენ, რომ, სინამდვილეში, მათ არც არასდროს სდომებიათ მშვიდობა, ისინი არიან ომის პარტიის წარმომადგენლები. საბოლოო ჯამში, ეს გვაჩვენებს, რომ ოპოზიციის და ამ „ენჯეოების“ ევროპული გზა არის გზა აფხაზებისა და ოსების გარეშე. ეს არის რეალობა, რაც ჩვენ დავინახეთ ამ პროცესის ფარგლებში...

**შალვა პაპუაშვილი**

### აფხაზებმა, ოსებმა და ქართველებმა ერთმანეთს უნდა მოვუხადოთ ბოდიში!

**...ბუნებრივია, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას არ მოიწონებს.** რეალობაა, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ოს და აფხაზ და-ძმებთან ერთად ერთიან სახელმწიფოს მშვიდად ვაშენებდით, მაგრამ დღეს გარკვეული ძალების მხრიდან ერთმანეთს ვართ ჩამოშორებული. ორი ულამაზესი მხარე საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არ არის. უამრავი ომი გადავიტანეთ როგორც აფხაზეთში, ასევე სამაჩაბლოში. დაშვებული იყო უამრავი შეცდომა – სწორედ ამაზე იყო აქცენტი გაკეთებული. დიახ, ჩვენ ერთმანეთისთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელი შეცდომებისა და გაუაზრებელი პოლიტიკისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ მესამე ძალამ



შეძლო და ერთმანეთს გადაგვკიდა.

ჩვენ მშვიდობით, სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი და ავაშენოთ ერთიანი სახელმწიფო. ხელმოცარულების ინტერპრეტაციაა, თითქოს გიორგი ანწუხელიძის მწამებლებს უნდა მოვუხადოთ ბოდიში. არა, ბატონებო – ეს ომის დანაშაულია და გამოძიებულია, ვინც ომის დანაშაული ჩაიდინა. ეთნიკური ქართველის მკვლელობისთვის არაერთი პირია პასუხისგებაში მიცემული. არასამთავრობო ორგანიზაციები და ხელმოცარული ოპოზიცია იმის გამო აკაკანდა, რომ ზუსტად იციან, არჩევნების შემდეგ ყველა გასამართლდება, ვისაც წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან საერთო გამოსავალი არ გვეპოვა და ყველაფერი გააკეთა, რათა ომი თავიდან არ აგვერიდებინა. დიახ, ჩვენ სრულფასოვან გამოძიებას ჩავატარებთ, რა მოხდა 2008 წლის ომის დროს და ვინ დაგვატეხა ეს ტრაგედია!..

**ირაკლი ზარქუა**

## დღის შეფასება
## პრემიერი „ამნისტიის შესახებ“ კანონზე

– **ამნისტიის კანონი არის ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა.** პირველად ამის თაობაზე გარკვეული გზავნილი გავაჟღერე 8 თებერვალს, როდესაც მტკიცდებოდა მთავრობა, მეორედ ასეთი გზავნილი გავაჟღერე უკვე როდესაც მთავრობის ანგარიში წარვადგინე ივნისში და საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი აისახა იმ კანონპროექტში, რომელიც მიღებულ იქნა უკვე დღეს მესამე მოსმენით. 10 000-მდე პატიმარია დღეს საქართველოში, საიდანაც 1 000 მყისიერად დატოვებს საპატიმროს და დაახლოებით 5 000 პატიმრის ეტაპობრივად გათავისუფლება მოხდება. ეს არის მაქსიმალურად დაბალანსებული კანონი იმ კუთხით, რომ ერთი მხრივ, მაქსიმალურად განიტვირთება ციხეები და გათავისუფლდებიან ადამიანები საპატიმროებიდან და მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება ასევე საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვაც, ანუ დამატებითი რისკები არ შეექმნება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. შესაბამისად, ხანგრძლივი დისკუსიები იყო ამ კანონის გარშემო და ვფიქრობ, რომ მაქსიმალურად ოპტიმალური სახით ჩამოყალიბდა ეს კანონი...



# რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა...

პირველი გვერდიდან

საინტერესოა მისი დამოკიდებულება ე. წ. გავრილოვის ღამის ინციდენტისადმი, როცა ოპოზიციის მიერ წაქეზებული ბრბო პარლამენტში შეჭრას ცდილობდა: „შესულიყვნენ მერე, რა მოხდებოდა, შევიდოდნენ და ისევე გამოვიდოდნენ, მაგის გამო თვალი უნდა წამოთხარო ახალგაზრდა ქალს?“

მისი აზრით, აფხაზეთის რკინიგზა არ უნდა გაიხსნას, რადგან ამით ბათუმის და ფოთის ნავსადგურებს ტვირთბრუნვა შეუმცირდებათ. აფხაზეთს მას მერე უნდა მივხედოთ, რუსეთი რომ უკრაინასთან ომში დამარცხდება და ჩამოიშლება.

სხვათა შორის, ეს დეპუტატი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანიცაა. 1993 წელს რომ საკუთარი ვალუტა, კუპონები დაიბეჭდა, ის გახლდათ ვიცე-პრემიერი და ეროვნული ბანკის თავმჯდომარის მოადგილე. დღეს ის გვიამბობს, თუ როგორ იღებდნენ მავანნი მილიონიან კრედიტებს ეროვნულ ბანკში, ამ ფულით შეძენილ საქონელს საზღვარგარეთ მყარ ვალუტაზე ჰყიდდნენ, ვალს კი გაუფასურებული კუპონებით იხდიდნენ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნულმა ბანკმა ახლად შემოსული კუპონი მაშინვე კონვერტირებადი გახადა გარკვეული პირებისათვის, რომლებიც ეკონომიკის ნგრევის და ხალხის გაღატაკების ხარჯზე გამდიდრდნენ. ამას იგი ისე გვიყვება, თითქოს უბრალო დამლაგებლად ემუშაოს ეროვნულ ბანკში. ვინ იყვნენ ის პირები, ეს მაინც ვიცოდეთ! ვერ გეტყვითო, გვეუბნება ეროვნული ბანკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, კი აღვრიცხავდით ვის რამდენი მილიონი თუ მილიარდი გაჰქონდა, მაგრამ მერე ის დავთარი ვიღაცამ მოიპარა და ვეღარ ვიპოვეთო. ამას რომ უსმენ, ედუარდ შევარდნაძის მდგომარეობა წარმოგიდგება თვალწინ: საძმოებით მოფენილი ქვეყანა დანგრეული და გაპარტახებული ეკონომიკით, კანონიერი თუ უკანონო ქურდებით ხელისუფლებაში და ასეთი „უნარიანი და საიმედო“ ვიცე-პრემიერ-მინისტრით!!!

მას ძნელად თუ ჩამორჩება სიცრუეში ერთი სავარაუდო კანდიდატი უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლისა – პარტია „ლელოს“ თავმჯდომარე, რომელიც წარბშეუხრელად გვარწმუნებს, რომ ჯვრის უღელტეხილზე გვირაბი არ უნდა ავაშენოთ, თორემ რუსები ამით ისარგებლებენ და ტანკებს შემოიყვანენო! კი მაგრამ როკის გვირაბი ხომ დიდი ხანია არსებობს და, ეგეც რომ არ იყოს, განა უკვე შემოსული არ არიან და აგერ თბილისიდან სულ რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრში არ დგანან? რით უნდა აიხსნას ასეთი სიცრუე? საცინრად გვიგდებს თუ რაშია საქმე?

ან კიდევ როცა მორიგ სიცრუეში უნდა დაგვარწმუნოს, თითქოს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ანაკლიის პორტის მშენებლობაში ვინ იქნება სააქციო პაკეტის 51 პროცენტის მფლობელი – საქართველოს სახელმწიფო თუ უცხო ქვეყნის კერძო კომპანია. ან კიდევ, როცა მჭიდრო მწკრივად შეკრული ამ პარტიის პოლიტსაბჭო და გენერალური მდივანი შს მინისტრს წინ ეფარება, რომ საშუალება არ მისცეს მოახსენოს პარლამენტს მნიშვნელოვანი საქმის გამოძიების შედეგები.

აი, ე. წ. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი ორი სიმპათიური გარეგნობის მანდილოსანი დეპუტატი ცდილობს საშუალება არ მისცეს კულტურის მინისტრს პარლამენტში მოხსენებით გამოვიდეს. ამ დროს ერთი მათგანი – ენმ-ის ამჟამინდელი თავმჯდომარე – ამაყი სახით რიტმულად აბარტყუნებს ხელს კათედრაზე, ხოლო მეორეს – ბატონი მიშას მიერ საქართველოს ელჩად ევროკავშირში წარგზავნილს – ასევე ამაყად უჭირავს ხელში პლაკატი წარწერით: **иди ты нахуй**! გასაოცარია, რომ ამ ქალბატონებმა ამაზე უკეთესი ვერაფერი ისწავლეს დასავლეთში, თუმცა შესახედაობა მართლაც უდავოდ ევროპული აქვთ და ინგლისურადაც მშვენივრად ლაპარაკობენ1

აი კიდევ ერთი ოპოზიციის ლიდერი: „ხაალხნოოო, ბაავშვები შიმშილობენ, ხაალხნოოო!“ – გაჰყვირის იგი და ბავშვებმა რომ არ იშიმშილონ, ხალხს მოუწოდებს პარლამენტის შენობას ალყა შემოარტყან და ხელებაწეულნი მშვიდობიანად (!?) შევიდნენ შიგ. გასაკვირველია, მაგრამ ამ კაცს პარტია „კანონი და სამართალი“-ს თავმჯდომარე ქალბატონი პრემიერ-მინისტრობის ყველაზე უკეთეს კანდიდატად მოიაზრებს.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ახალი „პროევროპული“ პარტიის დამაარსებელი ფეიკ-ვიდეო რეჟისორი, რომელმაც ტელეკომპანიის მენეჯერობისას შვიდი მილიონი ლარი „მოტეხა“ და ამისთვის მხოლოდ რამდენიმე თვე გაატარა ციხეში... ან ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის ვაჟი, რომელიც მოუწოდებს ოპოზიციონერ კოლეგებს შეიძინონ ან იქირავონ სახლი, სადაც პროევროპულ დეპუტატებს საშუალება ექნებათ მათი პრორუსული კოლეგებისგან დამოუკიდებლად განიხილონ საქვეყნო საქმეები.

კიდევ ერთი დაწინაურებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსი დემონსტრაციულად იხსნის და ხალხში მოისვრის სასამართლოს მიერ დანიშნულ ელექტრონულ სამაჯურს და სწამს, რომ ამით დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალწარმოების საქმეს ემსახურება.

ახალი პოლიტიკური პარტიის „დროას“ დამაარსებელი ქალბატონი პოლიციელის შენიშვნაზე, ხელს ნუ იკვრევინებითო – „ხელს გკრავ კი არა, თავს გაგიხეთქავო“ – პასუხობს.

მეორე დეპუტატი წინადადებით შემოდის, რუსეთის ნომრიანი მანქანების მძღოლებს მოძრაობის წესების დარღვევისთვის სხვებზე ორჯერ მეტი ჯარიმა გადავახდევინოთ, და გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ეს ევროპასთან დაგვაახლოვებს.

ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს – ყველა ჩვენი უბედურების სხვისთვის გადაბრალება და პრეტენზია ევროპულობაზე, პროდასავლურობაზე, თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ თუ რამ უარყოფითი ჩვენს ეროვნულ ხასიათში გვაქვს, სწორედ მათშია განსახიერებული და თავმოყრილი, ევროპულობისა კი, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი არაფერი სცხიათ. ყველაზე კარგად მათ ილიას ცნობილი ლექსის ეს სტრიქონები ახასიათებთ: „ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ცუღლუტი და მანკიერი“...

**ოქტომბრის არჩევნებში როგორმე უნდა მოხდეს მათი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორება, როგორც ეს ერთ დროს კიტოვანის, იოსელიანის და მათი თანამოაზრე გვარდიელ-მხედრიონელების მიმართ მოხერხდა. უამისოდ ძნელია მომავლისაგან რაიმე კარგს მოველოდეთ.**

**მიხეილ გამყრელიძე,**
ნიუ იორკი

> **...ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს — ყველა ჩვენი უბედურების სხვისთვის გადაბრალება და პრეტენზია ევროპულობაზე, პროდასავლურობაზე, თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თუ რამ უარყოფითი ჩვენს ეროვნულ ხასიათში გვაქვს, სწორედ მათშია განსახიერებული და თავმოყრილი, ევროპულობისა კი, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი არაფერი სცხიათ.**

# გერმანულ ელიტას ნერვებმა უმტყუნა




**ევროპაში, კარგა ხანია, ულტრამემარჯვენე ძალთა მომძლავრება შეინიშნება. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიაში, ისინი უკვე, ქვეყანას მართავენ. მართალია, ქვეყნების უმრავლესობაში, ჯერჯერობით ოპოზიციაში არიან, მაგრამ მემარჯვენეთა პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება. ასეთივე ვითარებაა გერმანიაშიც: 2013 წელს დაარსებული ულტრამემარჯვენე პარტია AFD, ანუ ალტერნატივა გერმანიისთვის, პოპულარობის რეკორდებს ხსნის. ბოლო გამოკითხვებით, ეს პარტია მმართველი კოალიციის სამივე პარტიას, ჯამში ერთად, უგებს. ეს მართლაც დიდი მაჩვენებელია. ამ დროს, როგორც საპროტესტო პარტია, ისე დაფუძნდა. ამ 10 წლის მანძილზე, გერმანიის პოლიტიკურმა ელიტამ ხალხს ისე მოაბეზრა თავი, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ულტრამემარჯვენეების მხარეზე გადავიდა. თან, ამ პარტიის ელექტორატი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ამაზე გერმანიის ორ მხარეში ჩატარებული არჩევნების შედეგებიც მეტყველებს: პირველ სექტემბერს, თიურინგიაში და საქსონიაში რეგიონული არჩევნები გაიმართა, რომლის შედეგებმა მთელი ევროპა გააოცა და გერმანიის მთავრობის კრიზისი გამოიწვია. თიურინგიაში ულტრამემარჯვენეები პირველ ადგილზე გავიდნენ. შოლცის პარტიამ კი, ხმების 6 პროცენტი მიიღო. ეს ისტორიული მარცხია.**

თანამედროვე გერმანიას არ ახსოვს, მმართველ პარტიას რეგიონში ასე ცოტა ხმა მიეღო. საქსონიაშიც იგივე მოხდა. მმართველმა კოალიციამ, ჯამში, მიზერული ციფრები აჩვენა. პირველ ადგილზე ანგელა მერკელის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია გავიდა. ის ულტრამემარჯვენეებს მხოლოდ ერთი პროცენტით უსწრებს. შედეგების მიხედვით, ამ ორი რეგიონის მთავრობები ულტრამემარჯვენეების გარეშე, ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდება. **ამით შეშინებულმა ლიბერალურმა ელექტორატმა გერმანიის რამდენიმე ქალაქში საპროტესტო აქციები გამართა. ელიტის ზოგი წარმომადგენელი პარტიის აკრძალვას ითხოვდა. ოდესღაც დინჯ და გაწონასწორებულ გერმანულ ელიტას ნერვებმა უმტყუნა და, მასმედიით, ულტრამემარჯვენეების მიმართ ლანძღვა-გინება გამართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა ჟურნალისტმაც დაკარგა წონასწორობა და პირდაპირ ეთერში ულტრამემარჯვენეთა მომხრეებს ნაცისტები უწოდა.**

**თუ მათ დავუჯერებთ, მაშინ, გერმანიაში მილიონობით ადამიანი ნაცისტია. ექსპერტები ერთხმად ამბობენ, რომ ულტრამემარჯვენეთა სტიგმატიზაცია მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკური ელიტა დაფიქრდეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი რატომ აძლევს ხმას ულტრამემარჯვენეებს, ისინი ლანძღვა-გინებით არიან დაკავებულნი.**

ამ დროს, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გერმანიაში არსებულ პრობლემებზე რეაგირებას ითხოვს: ეს გახლავთ არალეგალური მიგრანტების მოზღვავება, რუსეთის მიმართ სანქციების გამო ფასების ზრდა, ეკონომიკური პრობლემები და სხვა. დღევანდელი მთავრობა კი, ისე იქცევა, თითქოს, ეს პრობლემები არ არსებობს. ისინი ლგბტ, გენდერული თანასწორობისა და მწვანე პოლიტიკით არიან დაკავებულნი. ექსპერტები ამბობენ, რომ მწვანე პოლიტიკამ მკვეთრად გაზარდა ფასები და გერმანიის ეკონომიკას საგრძნობი ზიანი მიაყენა. ახლა, როცა ევროპა და, კერძოდ, გერმანია ენერგეტიკულ კრიზისშია, მწვანე პოლიტიკამ უფრო დაამძიმა მდგომარეობა, თუმცა, გერმანიის მოსახლეობას ყველაფერზე შეუძლია დახუჭოს თვალი, ერთი რამის გარდა:

მიგრანტთა რაოდენობის მატებამ კრიმინოგენული მდგომარეობა გააუარესა, მკვეთრად გაზარდა რა ისლამური რადიკალიზმის მიმდევრების რიცხვი. ამას წინათ, ორი მძიმე ინციდენტი მოხდა გერმანიაში: ქალაქ ზოლინგენში რადიკალი-ისლამისტი მოქალაქეებს დანით დაესხა თავს, სამი ადამიანი მოკლა, რვა კი, მძიმედ დაჭრა. ასევე, ისლამისტმა მიუნჰენში ისრაელის საკონსულოს ცეცხლი გაუხსნა. პოლიციამ სწრაფი რეაგირება მოახდინა და თავდამსხმელი გაანეიტრალა. ამ ინციდენტებით კედელს მიყენებულმა ბუნდეს კანცლერმა შოლცმა, დროებით საზღვარი ჩაკეტა და საჯაროდ განაცხადა, რომ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე იფიქრებს. შოლცის კოალიციის წევრმა, მწვანეთა პარტიამ, შოლცის მოსაზრებაზე პროტესტი განაცხადა. ისინი ბუნდეს კანცლერს კოალიციიდან გასვლით დაემუქრნენ. ხალხი კი, მიგრაციის კანონების გამკაცრებას ითხოვს. 22 სექტემბერს ბრანდენბურგის მხარეში, რეგიონული არჩევნებია დანიშნული. თუ მოსახლეობის უმრავლესობა აქაც ულტრამემარჯვენეებს მისცემს ხმას, მაშინ, შეიძლება, მმართველი კოალიცია მართლა დაიშალოს...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

საქართველოს რესპუბლიკა
ადუღებული დრო
№107. ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 2024 წელი

# ვინ გაბედავს ოპოზიციიდან ირაკლი კობახიძესთან დებატებში მონაწილეობას?



## ოპოზიციის ყალბი ლაქლაქი „ოცნების“ სასარგებლოდ მუშაობს!

**ოპოზიციამ დებატებში ბიძინა ივანიშვილი გამოიწვია, ხოლო მათ წინადადებას პრემიერმა ირაკლი კობახიძემ უპასუხა. კობახიძე აცხადებს, რომ ჯერ იმდენი რეპუტაცია უნდა ჰქონდეს ოპოზიციას, რომ ივანიშვილთან დებატები მოითხოვოს. მეორე მხრივ, მას არ აქვს არანაირი პრობლემა, რომ ნებისმიერ ეთერში მათთან პირისპირ დაჯდეს.**

**კობახიძის ნათქვამს ოპოზიციიდან გამოეხმაურნენ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ პრემიერს შესთავაზა, რომ მასთან ერთად დებატებზე პირდაპირ ეთერში დაჯდება. აუხსნის კობახიძეს დეტალურად საიდან აპირებს „ნაციონალური მოძრაობა“ 14 მილიარდის მოტანას, რათა მოსახლეობას დაეხმაროს.**

**ირაკლი კობახიძის განცხადებით, ოპოზიცია დებატებს გაურბის: „ისინი გაურბიან დებატებს. მე პირადად აბსოლუტურად მზად ვარ. პარლამენტი არის დებატების მთავარი სივრცე. მათ ჰქონდათ შანსი თებერვალში, მარტში, აპრილში, მაისში. შემდეგ იყო ივნისი, ახლა არის უკვე სექტემბერი. ექვსჯერ ჰქონდათ შანსი, ჩემთან გამართულიყო საპარლამენტო დებატები, ექვსივეჯერ გაექცნენ“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.**

**რაც შეეხება სატელევიზიო დებატებს, კობახიძის განმარტებით, ეს მისთვის არავითარი პრობლემა და სირთულე არ არის.**

**„იმდენად არაფერი აქვთ სათქმელი საზოგადოების წინაშე, უცხოელები ატარებენ მათ მაგივრად კამპანიას, რა დებატების თავი აქვთ“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ რასაკვირველია, პოლიტიკური დებატები, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში იმართება. თუმცა ეს ხდება ისეთ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც რადიკალური პოლიტიკური პარტიები არ არიან.



აბაშიძე ამბობს, რომ სამწუხაროდ, ვერც პრემიერ ირაკლი კობახიძეს და ვერც ბიძინა ივანიშვილს, ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი საგნობრივ და აზრიან დისკუსიას ვერ გაუწევენ.

„ბოლო 4 წლის განმავლობაში პარლამენტის მაგალითზე სამწუხაროდ გამოჩნდა, რომ დესტრუქციული ოპოზიცია უაზრო კითხვებს დასვამს, აღარ ელოდება პასუხს და სხდომათა დარბაზიდან გარბიან. ეს არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის შემთხვევაში მოხდა, არამედ სხვადასხვა მინისტრების ინტერპელაციის ფორმატში. შესაბამისად, შეუძლებელია, ასეთ დესტრუქციულ ელემენტებთან შინაარსობრივი აზრთა ცხარე კამათი წარიმართოს. დავაკვირდეთ, რა ხდება რადიკლური ოპოზიციის ფლანგზე, მათგან ტყუილი, დესტრუქცია, ექსტრემიზმი, ბოღმა და სიძულვილის მასობრივი ტირაჟირება ხდება.

არა მხოლოდ მმართველი პოლიტიკოსების, არამედ მმართველი ძალის მხარდამჭერების მიმართაც. მე მაგალითად ვერ წარმომიდგენია, კობახიძეს ვინ უნდა დაუჯდეს, ვინც მისი კონკურენტი რეალურად იქნება. თუ ასე გავყვებით ლოგიკას, მაშინ მას მთავარი ოპოზიციური ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი თინა ბოკუჩავა უნდა დაუჯდეს. ბოკუჩავა არა ერთხელ იყო მთავრობის წევრთა გმოსვლების დროს პარლამენტში და გვახსოვს მისი უსაქციელო ყვირილი და ისტერიკა. ლანძღვა-გინების შემდეგ კი დარბაზიდან გაქცევა. როგორ შეიძლება ამ ქალბატონს, სერიოზული პოლიტიკური რაციონალური პიროვნება ეწოდოს. თუმცა რადიკალურ ოპოზიციაში ასეთები ჰყავთ, მათთვის მთავარია, რომ სატელევიზიო დებატების დროს, რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირონ, და იყიყინონ. პრემიერ ირაკლი კობახიძეს ათასი სისულელე უთხრან და ამით ჩათვალონ, რომ რაღაც პოლიტიკური რეიტინგი მიიღეს“, – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, დავაკვირდეთ თუნდაც კობახიძის პრესკოფერენციებს და ჟურნალისტებთან ურთიერთობას. თავად ავრცელებენ ტყუილს და ფეიკ ინფორმაციებს. მერე ვითომ სურთ პრემიერი რაღაცაში გამოიჭირონ, მაგრამ საბოლოოდ ისევ წაგებული თავად რჩებიან. ასე იქნება ანალიტიკოსის აზრით, პოლიტიკოსების შემთხვევაშიც.

„კობახიძეს თუ რომელიმე პოლიტიკური ლიდერი დაუჯდა, იქაც იგივე იქნება. მაგალითად: ბოკუჩავა, ვაშაძე თუ სხვა პირები, ვინც არ უნდა დაუსხდნენ, მათი მხრიდან ჭარბი ჩაბჟირების, ყვირილის და პრემიერის შეურაცხყოფის გარდა არაფერი იქნება. არც გაგვიკვირდება, რომ ისინი სატელევიზიო სტუდიიდან გაიქცენენ და შემდეგ თქვან, რომ მათ ვითომ გაიმარჯვეს. ამ ხალხს წესიერი დისკუსია და საუბარი არ შეუძლიათ“, – ამბობს აბაშიძე.

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე** კი მიიჩნევს, რომ, რა თქმა უნდა, კარგია დებატები, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში ამის კულტურა ჯერ არ გვაქვს. ანალიტიკოსი for.ge-სთან ამბობს, რომ მეორე მხრივ მნიშვნელოვანი ის არის, რა სახის შედეგის მიღება სურთ ამით პოლიტიკოსებს.



„საქმე იმაშია, რომ დებატებს თავისი კონკრეტული მიზანი და დანიშნულება უნდა ჰქონდეს. როცა ასეთი დებატები მაგალითად, ამერიკაში იმართება, ჩვენ ვნახეთ ამომრჩევლის განწყობაზე ეს როგორ გავლენას ახდენს. როგორ მოხდა უცბად ტრამპის რეიტინგის კლება, როდესაც მან კამალა ჰარისთან დებატები გამართა. ჩვენთან ასე არ არის. ჯერ ერთი, დებატების კულტურა არ გვაქვს, მეორეც – ჩვენს მოსახლეობას ეს დიდად არ ანაღვლებს. კი ბატონო, შესაძლოა, სანახაობრივი იყოს, მაგრამ კობახიძის მდგომარეობიდან გამოყვანა მარტივი არ არის. ამიტომ რა იქნება ოპოზიციის მიზანი როცა მასთან დაჯდომაზე საუბრობს? ამით ვისზე უნდა მუშაობა, რომელი ამომრჩევლის გადაბირება სურთ? „ოცნების“ ამომრჩეველი ისევ მმართველი გუნდის მხარდამჭერი დარჩება. არა აქვს მნიშვნელობა, კობახიძე ან ივანიშვილი რას იტყვის. ოპოზიცია ამ დებატებით მოსახლეობას აზრს ვერ შეაცვლევინებს, ამიტომ მისი გამართვის პოლიტიკურ მიზანს ვერ ვხედავ. მსგავსი დებატები პარლამენტში გვიხილავს და ახალი რა უნდა იყოს, რაზე უნდა ილაპარაკონ, მე მართლა არ ვიცი. ნუ კი, ბიძინა ივანიშვილის დებატებში ხილვა კარგი იქნებოდა, მაგრამ მას პოლიტიკურად ეს რაში აწყობს? რას მოუტანს? თუ უნდა გამოვა ისედაც და აგერ, თავის ამომრჩეველს მაინც ელაპარაკება“, – ამბობს ძაბირაძე.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

# მასშტაბური თაღლითობა თბილისში



## სამშენებლო კომპანიის დირექტორი და მოადგილე მოქალაქეებზე ყიდდნენ იმ ბინებს, რომლებიც სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული

**პროკურატურამ ბრალი წარუდგინა ორ პირს, რომლებიც მოქალაქეებზე ყიდდნენ იმ საცხოვრებელ ბინებს, რომლებიც სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული, ან გაყიდული, ზოგ შემთხვევაში კი კორპუსი საერთოდ არ აშენდა.**

ამ გზით ბრალდებულები 73 დაზარალებულის კუთვნილ, ჯამში 4 163 620 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.

– საქართველოს პროკურატურამ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე, სამშენებლო კომპანიის დირექტორს და ამავე კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების მქონე პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სამშენებლო კომპანიის – შპს „დიღომი თაუერის“ დირექტორმა და ამავე კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების მქონე პირმა კომპანიას სახელწოდება შპს „თიმ დეველოპმენტით“ შეუცვალეს და განვადებით ან ნასყიდობით შეძენის ხელშეკრულების საფუძველზე, მოქალაქეებზე ყიდდნენ სოფელ დიღომში, მესხის ქუჩაზე მდებარე მშენებარე კორპუსში საცხოვრებელ ბინებს. რეალურად კი აღნიშნული ფართები უკვე სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული, ან გაყიდული, ზოგ შემთხვევაში კი კორპუსი საერთოდ არ აშენებულა. ამ გზით ბრალდებულები 73 დაზარალებულის კუთვნილ, ჯამში 4 163 620 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული 12 სექტემბერს დააკავეს. მათ ბრალდება არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტებზე წარედგინათ.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება ბრალდებულების მიერ შესაძლო ჩადენილ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებზეც!

# ბრაკონიერები ისევ მომრავლდნენ!

## ნადირობის სეზონის გახსნიდან 20 დღეში უკანონო ნადირობის 104 ფაქტი გამოვლინდა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის დაწყებიდან მხოლოდ 20 დღეში, უკანონო ნადირობის 104 ფაქტი გამოავლინეს.**

უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი – 35 ფაქტი დადასტურდა იმერეთში; 31 სამართალდარღვევაა გამოვლენილი სამეგრელო-ზემო სვანეთში, 9 – შიდა ქართლში, 9 – ქვემო ქართლში, 5 – კახეთში, 5 – სამცხე-ჯავახეთში, ასევე 5 – გურიაში, 3 ფაქტი კი მცხეთა-მთიანეთში გამოვლინდა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკანონო ნადირობის 2 ფაქტი აღკვეთეს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც.



გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან 94 აკრძალული იარაღით ან მეთოდით ნადირობის ფაქტია; 9 შემთხვევაში სამართალდამრღვევები გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის გარეშე ნადირობდნენ, 1 კი, ნადირობის წესების დარღვევის ფაქტია. ბრაკონიერებმა უკანონოდ მოინადირეს 27 ერთეული მწყერი.

ნადირობის სეზონის დაწყებიდან 20 დღეში ამოღებულია 94 ერთეული ფრინველის მოსაზიდი ხელნაკეთი ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული მოწყობილობა.

უკანონო ნადირობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე.

საქართველო რესპუბლიკა

# საერთაშორისოდ აღიარებული თვალსაჩინო მეცნიერი



## ავთანდილ კორახაშვილი – 75

**დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს, პროფესორ ავთანდილ (ბიძინა) კორახაშვილს, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოება. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მან განვლო მეტად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი გზა როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის აგრარული მეცნიერების განვითარების საქმეში, რის გამოც ეკონომიკის აგრარული სექტორის ამ ღვაწლმოსილმა პროფესიონალმა და თვალსაჩინო მეცნიერმა დამსახურებულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, კოლეგებისა და აღზრდილების პატივისცემა და სიყვარული.**

პროფ. ავთანდილ კორახაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა აგრო, ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიები აგრარულ სექტორში. როგორც მაღალი დონის მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიწვეული პროფესორის სტატუსით კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ხოლო მეცნიერ-მკვლევრის სტატუსით მუშაობდა რუსეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, ისრაელში, ავსტრალიაში, გერმანიაში, სირიაში. პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა უცხოეთის ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა: მოშონმადიაროვარის (უნგრეთი), ჯორჯიისა და მერილენდის (აშშ), ოსაკის (იაპონია), შანდუნის და ლუდონგის (ჩინეთი) უნივერსიტეტებში. მონაწილეობდა 27 საერთაშორისო სამეცნიერო, საგრანტო და სამრეწველო-კომერციულ პროექტებში. ის 46 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელია.

**საქართველოში და საზღვარგარეთის 40-ზე მეტ ქვეყანაში გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აგრეთვე 7 მონოგრაფია, 18 სახელმძღვანელო, 8 მეთოდური მითითება, ექვსენოვანი აგრარული ლექსიკონი და გლოსარიუმი. დამუშავებული აქვს 15 გამოგონება, 2 პატენტი, არის საქართველოს 5 ადაპტირებული კანონის და სოფლის მეურნეობის განვითარების 3 ეროვნული სტრატეგიისა და კონცეფციის ავტორი და თანაავტორი. მიღებული აქვს საქართველოს და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციების მეტად პრესტიჟული ჯილდოები.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ავთანდილ კორახაშვილს იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და შემდგომ წარმატებებს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# საჯარო სკოლებში სწავლა დაიწყო

## გიორგი ამილახვარი: მთლიანად საქართველოს და განსაკუთრებით 50 ათასზე მეტ პირველკლასელს ვულოცავ სწავლის დაწყებას!



**გიორგი ამილახვარმა მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. შესაბამისი განცხადება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თბილისის რეაბილიტირებულ 160-ე სკოლაში სტუმრობისას 16 სექტემბერს გააკეთა.**

– მინდა დღეს მთლიანად საქართველოს და განსაკუთრებით 50 ათასზე მეტ პირველკლასელს მივულოცო სწავლის დაწყება, მათ მშობლებს, მთლიანად სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი და გვაქვს უამრავი სიახლე. ახლა გავხსენით პრაქტიკულად სრულიად განახლებული, რეაბილიტირებული გლდანის 160-ე სკოლა, სადაც 1100-ზე მეტი ბავშვი სწავლობს, რაც 5 მილიონ ლარამდე დაჯდა. მიმდინარეობს ასევე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მთელ ქვეყანაში და ეს სასწავლო წელი ნამდვილად გამორჩეულია სიახლეებით. სექტემბრის ბოლომდე კიდევ გაიხსნება 60 მსგავსი ახალი დიდი სკოლა ქვეყნის მასშტაბით და წლის ბოლომდე პრაქტიკულად 100 ახალი სკოლა გვექნება სისტემაში დასრულებული, განახლებული, სრულად აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით, რომელიც 30 ათასამდე მოსწავლეს მოემსახურება.

ასევე, რა თქმა უნდა სრულად არის უზრუნველყოფილი საჭიროების მიხედვით ტრანსპორტირება, ასევე სახელმძღვანელოები და ბუქები გადაეცა ყველა პირველკლასელს!...

# ტელეკომუნიკაციები და უსაფრთხოება

**10 – 11 ოქტომბერს თბილისში ა(ა)იპ „სამეცნიერო კიბერ უსაფრთხოების ასოციაცია (SCSA)“ და ა(ა)იპ „ინტერნეტის განვითარების ინიციატივა (IDI)“ უკვე მეოთხედ მართავს საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკულ კონფერენციას „ტელეკომუნიკაციები და უსაფრთხოება“.**

ორგანიზატორთა ინფორმაციით, წელს კონფერენცია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული საკონფერენციო გრანტის ფარგლებში ტარდება.

თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თავისთან აერთიანებს მონაწილეებს აკადემიური სექტორიდან, ტელეკომუნიკაციებისა და კიბერუსაფრთხოების დარგების წამყვან მეცნიერ-მკვლევრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. კერძოდ, კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ რუმინეთის, ავსტრიის, უკრაინის, პოლონეთის, ლიეტუვის, უზბეკეთის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ყაზახეთის, სომხეთის, ნორვეგიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს აკადემიური სექტორის, კერძოდ, ამ ქვეყნების წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, თუ ლაბორატორიების წარმომადგენლები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტელეკომუნიკაციები და უსაფრთხოება“ მთავარ მიზანს წარმოადგენს შეკრიბოს აკადემიური სექტორის წარმომადგენლები, დარგის წამყვანი მეცნიერები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, თუ ლაბორატორიების მკვლევრები ერთ სივრცეში, რათა მოხდეს მათ შორის ახალი იდეებისა და ინიციატივების გენერირება, არსებული გამოცდილებისა და ინფორმაციის ერთმანეთში გაცვლა, აკადემიურ დონეზე დისკუსიებისა და დიალოგების გახსნა, სავარაუდო სამეცნიერო თანამშრომლობის დონის გაუმჯობესება და უკვე არსებული თანამშრომლობის მასშტაბების კიდევ უფრო გაზრდა. კონფერენციაზე შეიძლება გადაიჭრას ისეთი ფუნდამენტალურად პრობლემური ამოცანები, როგორიცაა ოპტიკურ-ოჭკოვანი ტექნოლოგიებისა და მიწისზედა თანამგზავრული



კომუნიკაციების არსებული გამოწვევები, და რაც ყველაზე მთავარია, კონფერენციის მიზნებიდან გამომდინარე, მათი უსაფრთხოების, პირველ რიგში საუბარია კიბერუსაფრთხოებით მიმართულებაზე, უზრუნველყოფის საკითხები. სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წარმოდგენილი ამოცანებიდან სულ უფრო აქტუალური ხდება მიწისზედა თანამგზავრების უსაფრთხოება, რაზეც ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტს საუბრობენ დარგის წამყვანი მეცნიერები და ექსპერტები, და რაც ხდება ჰაკერთა სულ უფრო მეტი დაინტერესების ობიექტი. ამიტომაც, მის კიბერუსაფრთხოებით უზრუნველყოფაზე აკადემიური სექტორის მიდგომების განვითარება და გამყარება სხვადასხვა სახის კვლევებით, წარმოადგენს ფუნდამენტალურად მნიშვნელოვან ფაქტორს.

# საშუალო ხელფასი გაიზარდა

**2024 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.1 პროცენტით (200.4 ლარით) გაიზარდა და 2 004.9 ლარი შეადგინა.**

შესაბამის მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.

მათი ცნობით,2024 წლის მე-2 კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1 590.2 ლარით, ხოლო კაცების – 2 413.5 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 153.1 ლარი (10.7%) შეადგინა, ხოლო კაცებში – 251.8 ლარი (11.7%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით რეგიონებში ლიდერობს თბილისი და მცხეთა-მთიანეთი.

საქსტატი

# ომის შემზარავი პროგნოზი



**ომი უკრაინაში** 2025 წელსაც არ დასრულდება,- ეს განცხადება ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრმა რუბენ ბრეკელმანსმა გააკეთა.

**„ჩვენ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, ჩვენ აგრეთვე არ უნდა შევქმნათ ძალიან დიდი მოლოდინები, იმიტომ რომ, ადამიანები ფიქრობენ, რომ თავიდან რუსული შეჭრა იყო სპრინტი, რომელიც მარათონად იქცა, ხოლო სინამდვილეში ის 42-კილომეტრიანი სპრინტია“,** – თქვა ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრმა.

როგორც ბრეკელმანსმა აღნიშნა, დასავლური ქვეყნები უკრაინას მომავალშიც უნდა დაეხმარონ, თუმცა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს ყველაფერი დროში გაიწელება, და ევროპელები ამისთვის მზად უნდა იყვნენ.



არჩილ ჩხოტუა

# თუ დროზე მიუსწრებთ, პროსტატის კიბო განკურნებადია!

**როგორც ჩვენს წინა პუბლიკაციაში შევპირდით მკითხველს, დღეს გავაგრძელებთ საუბარს პროფესორ არჩილ ჩხოტუასთან ისეთ აქტუალურ პრობლემაზე, როგორიცაა პროსტატის კიბო.**

* * *

**— ბატონო არჩილ, წინა ინტერვიუში თქვენ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრეთ პროსტატის კეთილთვისებიანი გადიდების შესახებ. რას გვეტყვით პროსტატის კიბოზე, რამდენად პრობლემატურია ეს დაავადება და რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?**

— პროსტატის კიბო კიდევ უფრო დიდი პრობლემაა და აი რატომ: სამყაროს ცივილიზებულ ნაწილში (აშშ, დასავლეთ ევროპა, სკანდინავია და ავსტრალია) პროსტატის კიბო ყველაზე ხშირი ონკოლოგიური დაავადებაა მამაკაცებში, ხოლო კიბოთი განპირობებულ სიკვდილიანობაში მას მეორე ადგილი უჭირავს. ბევრად უკეთესი სიტუაცია არც საქართველოშია. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ყოველწლიური მონაცემებით, საქართველოში, გავრცელების სიხშირით, პროსტატის კიბო, მამაკაცებში, სტაბილურად მეორე ადგილზეა ფილტვის კიბოს შემდეგ. ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში, მამაკაცებში, 5 ყველაზე ხშირ ონკოლოგიურ დაავადებას შორის, 2 უროლოგიურია: პროსტატისა და შარდის ბუშტის კიბო (სიხშირით მესამე). ჩვენ არ ვიცით ზუსტი მონაცემები ჩვენს ქვეყანაში პროსტატის კიბოთი განპირობებული სიკვდილიანობის შესახებ, თუმცა, ყველა მონაცემით, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მნიშვნელოვანია.

გავრცელების სიხშირე განაპირობებს ამ დაავადების მკურნალობაზე მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს. ასე მაგალითად, — მხოლოდ პროსტატის კიბოს მკურნალობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყოველწლიურად, 3 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

**— წინა ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ პროსტატის გადიდებას აქვს ჰორმონული მიზეზები და რომ მამაკაცის სასქესო ჰორმონები, კერძოდ ტესტოსტერონი, იწვევს მის ზომაში ზრდას. როგორია პროსტატის კიბოს გამომწვევი მიზეზები და რამდენად თამაშობენ აქ როლს ჰორმონები?**

— ისევე, როგორც პროსტატის კეთილთვისებიანი გადიდების შემთხვევაში, პროსტატის კიბოს დროსაც, მამაკაცის სასქესო ჰორმონებს დიდი როლი აქვს. ჰორმონი ტესტოსტერონი, ძირითადად, სათესლე ჯირკვლებში გამომუშავდება. სათესლე ჯირკვლების როლი პროსტატის ჯირკვლის ზრდაში ცნობილია უხსოვარი დროიდან. კერძოდ, ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ბიჭების კასტრაცია გაბატონებული პრაქტიკა იყო სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მიზნით. პირველი ასეთი შეტყობინებები ჩვენ მოგვეპოვება ჯერ კიდევ შუმერემის ცივილიზაციიდან. ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში ეს პრაქტიკა გავრცელებული იყო საჭურისების მისაღებად და შემდგომში მათი სხვადასხვა მიზნით გამოყენებისთვის. ბიზანტიაში კასტრაცია დასჯის ერთ-ერთი მეთოდი იყო. ისლამის გაბატონების შემდგომ, არაბეთისა და ოსმალეთის იმპერიებში, კასტრაცია ჰარამხანის მცველი საჭურისების გამოსაყვანად გამოიყენებოდა. საუკუნეების განმავლობაში დაგროვილმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ კასტრირებულ მამაკაცებს არ ემართებათ პროსტატის ჯირკვლის დაავადებები, არც კეთილთვისებიანი გადიდება და არც კიბო. აქედან, გაჩნდა სწორედ იდეა, **რომ სათესლე ჯირკვლების ფუნქციასა და წინამდებარე ჯირკვალის დაავადებებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ეს ჰიპოთეზა, პირველმა გამოთქვა ამერიკელმა ქირურგმა უილიამ უაითმა (William White) 1893 წელს. მან ივარაუდა, რომ მოშარდვის პრობლემები, რომლებიც მამაკაცებს ასაკში ემართებათ, არის არა შარდის ბუშტის მიზეზით, როგორც ამას მანამდე მიიჩნევდნენ, არამედ წინამდებარე ჯირკვლის ზომაში მატების შედეგი.**



უფრო მეტიც, მისი თეორიით, სწორედ სათესლე ჯირკვლები იყო ამის განმაპირობებელი. კერძოდ, სათესლე ჯირკვლებში გამომუშავდება ნივთიერება, რომელიც იწვევს პროსტატის ჯირკვლის ზომაში ზრდას. ჩვენ დღეს ზუსტად ვიცით, რომ ეს ნივთიერება ტესტოსტერონია, მაგრამ მაშინ ეს უცნობი იყო. ტესტოსტერონი გამოიყო და სინთეზირებულ იქნა 1935 წელს. თავის თეორიის დასამტკიცებლად, ვაითმა ჩაატარა ექსპერიმენტები ჯერ ძაღლებზე, ხოლო შემდეგ კლინიკური კვლევები მამაკაცებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ შარდის შეკავება. მან მიიღო გასაოცრად კარგი შედეგები, რომლებიც მოახსენა ამერიკის ქირურგთა ასოციაციას, ხოლო შემდეგ გამოაქვეყნა კიდეც. **ეს შეიძლება ჩაითვალოს პროსტატის კიბოს მკურნალობის დასაწყისად. ტესტოსტერონის აღმოჩენის შემდეგ, ამერიკელმა უროლოგმა ჩარლზ ჰუგინსმა (Charles Huggins) თავის ექსპერიმენტულ და კლინიკურ კვლევებში დაადასტურა სათესლე ჯირკვლების მიერ გამომუშავებულ ჰორმონებსა და პროსტატის კიბოს შორის კავშირი, რისთვისაც იგი ნობელის პრემიით დაჯილდოვდა 1966 წელს. დღემდე ეს რჩება უროლოგიაში გაცემულ ერთადერთ ნობელის პრემიად.**



**— გარდა ჰორმონული ფაქტორებისა, სხვა რა რისკ-ფაქტორებია მნიშვნელოვანი პროსტატის კიბოს შემთხვევაში და რა უნდა იცოდეს ჩვენმა მოსახლეობამ, რომ მაქსიმალურად დაიცვას თავი ამ დაავადებისგან?**

— ზოგადად, პროსტატის კიბო და კეთილთვისებიანი გადიდება ძალიან ჰგავს ერთმანეთს ბევრი ფაქტორით. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად, შეიძლება ითქვას თითქმის ყოველთვის, ისინი თანაარსებობენ და მამაკაცს აღენიშნება ორივე ეს დაავადება. ასაკი და მემკვიდრეობითი ფაქტორი აქაც უაღრესად მნიშვნელოვანია. დაავადება ძირითადად გვხვდება 60 წლის მამაკაცებში. 50 წლამდე ასაკში იგი იშვიათია, ხოლო 40 წლამდე მამაკაცებში მისი სიხშირე ნულოვანია. ასაკის ზრდასთან ერთად, მისი სიხშირე მკვეთრად მატულობს და 90 წლისთვის მამაკაცთა 90 პროცენტს აქვს პროსტატის კიბო. თუ მამაკაცის პირველი რიგის ერთ გენეტიკურ ნათესავს (ბაბუები, ბიძები, მამა და ძმა) ჰქონდა პროსტატის კიბო, მისი რისკი ამ დაავადების განვითარებისა, იზრდება დაახლოებით 2-ჯერ. 2 გენეტიკური ნათესავის შემთხვევაში, რისკი 5-ჯერ მეტია, ხოლო თუ 2-ზე მეტ ნათესავს ჰქონდა პროსტატის კიბო, ჩვენ საქმე გვაქვს კიბოს მემკვიდრეობით ფორმასთან, რომელიც განპირობებულია კონკრეტული გენეტიკური დეფექტით და რისკი 100%-ს აღწევს.

მართალია, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია, მაგრამ მათში კიბო მანიფესტირდება უფრო ადრეულ ასაკში, მიმდინარეობს უფრო აგრესიულად და ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით.

გარდა იმ ფაქტისა, ჰქონდა თუ არა თქვენს ოჯახში ვინმეს პროსტატის კიბო, მნიშვნელოვანია ასევე, რა ასაკში გამოუვლინდა მას ეს დაავადება და გამოიწვია თუ არა მან პაციენტის სიკვდილი. თუ დაავადება დიაგნოსტირდა შედარებით ახალგაზრდა ასაკში (60 წლამდე) და იგი პაციენტის სიკვდილის მიზეზი გახდა, რისკი მისი გამოვლენისა მემკვიდრეებში მატულობს. გამომდინარე აქედან,

**რჩევა მკითხველს: აუცილებლად გაარკვიეთ, თქვენს წინაპარ მამაკაცებში ვინმეს ხომ არ ჰქონდა პროსტატის კიბო, რა ასაკში გამოუვლინდა მას ეს დაავადება და გახდა თუ არა იგი პაციენტის სიკვდილის მიზეზი.**

**პროსტატის კიბოს სკრინინგის მხრივ, საქართველო ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა მსოფლიოში. ასე მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებმა პროსტატის კიბოს სკრინინგი მხოლოდ შარშან დაიწყეს, ჩვენს ქვეყანაში კი ის უკვე 14 წელია, მოქმედებს.**



სხვა რისკ-ფაქტორებიდან აღსანიშნავია: არტერიული ჰიპერტენზია; სიმსუქნე, განსაკუთრებით ე.წ. მუცლის ტიპის სიმსუქნე, თუ მუცლის გარშემოწერილობა აღემატება 102 სმ-ს; ქრონიკული ანთება, მათ შორის, განპირობებული სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით, როგორიცაა მაგ., გონორეა; ზოგიერთი ქიმიური პრეპარატი, მაგალითად, პესტიციდები და კადმიუმი; სქესობრივი ცხოვრებისგან ქრონიკული თავშეკავება (7 აქტი თვეში).

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კვება. დღეისათვის დადგენილია სხვადასხვა საკვები პროდუქტები, რომლებიც ზრდიან პროსტატის კიბოს განვითარების რისკს, ესენია:

**ხორცი და ხორცპროდუქტები: თერმულად დაუმუშავებელი (ე.წ. წითელი) ხორცი და ცხოველური ცხიმებით მდიდარი საკვები, გადამუშავებული ხორც-პროდუქტები: ძეხვი, სოსისი, შაშხი და სხვა; რძის პროდუქტები; ცხიმი და ცხიმზე შემწვარი პროდუქტები; ალკოჰოლი: აღსანიშნავია, რომ ალკოჰოლის ჭარბი მიღება, ისევე როგორც საერთოდ არმიღება ზრდის პროსტატის კიბოს რისკს;**

ვიტამინი D: ამ ვიტამინის რეგულარული, ჭარბი მიღება ზრდის აგრესიული პროსტატის კიბოს რისკს!

ჩვენთვის ასევე ცნობილია საკვები პროდუქტები, რომელბიც ამცირებენ პროსტატის კიბოს განვითარების რისკებს, ესენია:

ყავა, ბოსტნეული: პომიდორი, სტაფილო, გოგრა, ფორთოხალი, წიწაკა და გარგარი.

პარკოსნები: მწვანე ლობიო, ბარდა, მუხუდო, ფისტა, არაქისი და სხვა.

**რჩევა მკითხველს: იკვებეთ დაბალანსებულად და აკონტროლეთ თქვენი წონა, გახსოვდე: ჭარბი წონა იწვევს 13 სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს!**

**— ბატონო არჩილ, რა სიმპტომებით შეიძლება ამოვიცნოთ პროსტატის კიბოს დაწყების პროცესი, რომ დროულად მივმართოთ ექიმს?**

— პროსტატის კიბო ადრეულ სტადიებზე უსიმპტომოა და არ იწვევს არანაირ ჩივილებს. ჩივილები პაციენტს უჩნდება სიმსივნის ზომაში ზრდასთან ერთად. პროსტატის კიბოს გამოვლინებები, ანუ პაციენტის ჩივილები, ძალიან ჰგავს პროსტატის კეთილთვისებიანი გადიდების სიმპტომებს, კერძოდ: გახშირებული შარდვა ღამით და დღისით, გაძნელებული შარდვა ნაკადის შესუსტებით, დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება მოშარდვის ბოლოს, სისხლიანი შარდი და სხვა. დაავადების შორსწასულ შემთხვევებში, როცა სიმსივნე მეტასტაზირებულია, ვლინდება წონაში კლება, ტემპერატურა და ტკივილები. ამ ეტაპზე უკვე სიმსივნე განუკურნებელია და მხოლოდ პალიატიურ თერაპიაზე, ანუ პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე შეიძლება საუბარი. ეფექტური მკურნალობა და პაციენტის გაჯანსაღება შესაძლებელია დაავადების საწყის სტადიებზე, როცა პაციენტს ჩივილები ჯერ არ აქვს.

**— თუ პაციენტს ჩივილები არ აქვს, როგორ უნდა მიხვდეს, რომ სიმსივნე აქვს?**

— ეს სავსებით სწორი კითხვაა და სწორედ ამაში გვეხმარება კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა, ანუ როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, სკრინინგი. ზოგადად, სკრინინგი ნიშნავს დაავადების (ნებისმიერის, არა მხოლოდ ონკოლოგიურის)

დიაგნოსტიკას ადრეულ ეტაპზე, მისი განკურნების, ან ეფექტური მკურნალობის მიზნით. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში მოქმედებს 4 სხვადასხვა კიბოს სკრინინგის პროგრამა, ესენია: საშვილოსნოს ყელის, ძუძუს, მსხვილი ნაწლავისა და პროსტატის. აღნიშნული პროგრამა მოქმედებს 2010 წლიდან და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, სპეციალურ სკრინინგ-ცენტრებში, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით 14 სხვადასხვა ლოკაციაზეა მოწყობილი, გაიარონ პროსტატის და სამი დანარჩენი, ყველაზე ხშირი ონკოლოგიური დაავადების სკრინინგი და აღმოაჩინონ ისინი საწყის სტადიებზე, რაც წარმატებული მკურნალობისა და განკურნების საწინდარია. აღსანიშნავია, რომ პროსტატის კიბოს სკრინინგის მხრივ, საქართველო ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა მსოფლიოში. ასე მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებმა პროსტატის კიბოს სკრინინგი მხოლოდ შარშან დაიწყეს, ჩვენს ქვეყანაში კი ის უკვე 14 წელია-მოქმედებს. ჩემს არქივში მოიპოვება ევროპის უროლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის 5 წლისწინანდელი წერილი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ საქართველო ბევრად წინ არის ევროპის ქვეყნებზე და რომ ევროპა მხოლოდ ახლა იწყებს ამ პრობლემაზე მუშაობას.

დასანანია, რომ ბევრი მამაკაცი არ სარგებლობს ამ პროგრამით, რომელიც უფასოა. იგი ეხება 50-დან 70 წლის ასაკის მამაკაცებს, რომელთაც შეუძლიათ მივიდნენ სკრინინგ-ცენტრში, აიღინ სისხლის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში, გაიარონ უროლოგის კონსულტაცია და შეაფასონ პროსტატის კიბოს განვითარების რისკი მათ ორგანიზმში.

რჩევა მკითხველს: **დაიწყეთ პროსტატის კიბოს სკრინინგი 50 წლის ასაკიდან. თუ ხართ მაღალი რისკის ჯგუფში (გყავთ ერთი გენეტიკური ნათესავი, რომელსაც დაუდგინდა პროსტატის კიბო 65 წლამდე ასაკში), დაიწყეთ სკრინინგი 45 წლის ასაკიდან. თუ ხართ ძალიან მაღალი რისკის ჯგუფში (გყავთ რამდენიმე გენეტიკური ნათესავი, რომელთაც დაუდგინდა პროსტატის კიბო 65 წლამდე ასაკში), დაიწყეთ სკრინინგი 40 წლის ასაკიდან. ამას შეიძლება თქვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს!**

**– ბატონო არჩილ, დიდი მადლობა ასეთი საყურადღებო და დეტალური რჩევებისათვის. დაბოლოს, რას გვეტყვით პროსტატის კიბოს მკურნალობის შესახებ, მკურნალობის რა მეთოდებია დღეს თანამედროვე უროლოგიაში და რამდენად ხელმისაწვდომია ისინი საქართველოში?**

– თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ პროსტატის კიბო იმ იშვიათ ონკოლოგიურ დაავადებათაგანია, რომლისგანაც განკურნება შესაძლებელია. ოღონდ, ეს შესაძლებელია დაავადების ადრეულ I-II სტადიებზე. თანამედროვე უროლოგიამ და ზოგადად მედიცინამ, საკმაო პროგრესს მიაღწია ამ ვერაგი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ეხება მკურნალობის როგორც ქირურგიულ, ისე არაქირურგიულ მეთოდებს, როგორებიცაა: სხივური თერაპია, ჰორმონო და ქიმიოთერაპია. 90-იან წლებში, ჩემი საექიმო კარიერის დასაწყისში, პროსტატის კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები პრაქტიკულად არ არსებობდა და იძულებული ვიყავით მეტასტაზირებული პაციენტებისთვის ქირურგიული კასტრაცია გაგვეკეთებინა, რომლის ეფექტიანობა საშუალოდ 2 წელი იყო და პაციენტები ამ ვადაში იღუპებოდნენ საშინელი მეტასტაზური ტკივილებით. დღეს მოგვეპოვება მრავალი ძლიერმოქმედი და ეფექტური მედიკამენტი, რომლებიც საგრძნობლად ზრდის პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობას და აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს. ოპერაციები თითქმის მთლიანად ნაკლებინვაზიური, ენდოსკოპიური მეთოდებით წარმოებს საქართველოს რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში. თუ ამას დავუმატებთ იმ სასიხარულო ფაქტს, რომ ახლახან სახელმწიფომ აიღო ონკოლოგიური პაციენტების მართვის (დიაგნოსტიკის და მკურნალობის) სრული დაფინანსების ვალდებულება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ საკმაოდ „წელგამართულები" ვართ ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**– ტრადიციულად, ინტერვიუს ბოლოს, გთხოვთ, დაგვიანონსოთ ჩვენი შემდეგი საუბრის თემა.**

– შემდეგ ინტერვიუში ჩვენ ვისაუბრებთ ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, როგორიცაა მამაკაცის უშვილობა და ამით დავასრულებთ მამაკაცის ჯანმრთელობისადმი მიძღვნილი ინტერვიუების ციკლს. ჩვენ გვეყოლება მოწვეული ექსპერტი ანდროლოგიის საკითხებში, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ევროპის უროლოგთა ასოციაციის სექციის ბორდის წევრი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ხელაია.

**– გმადლობთ, ბატონო არჩილ. მამაკაცთა უშვილობაც ხომ დიდად განაპირობებს ჩვენი მცირერიცხოვანი ერის დემოგრაფიულ კოლაფსს, რომელიც დღეს ასე აწუხებს ფიზიკურად დამცრობილ საქართველოს და პროფესიონალი ექიმებისგანაც მოელის იმედის მომცემ სიტყვას... სიამოვნებით დაგელოდებით!**

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

# თბილისი და ბაკურიანი
## ზამთრის ოლიმპიადისთვის ემზადებიან

**2025 წელს საქართველო უმასპინძლებს ევროპის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს, რისთვისაც ბაკურიანში შენდება ბიატლონის ინფრასტრუქტურა, ხოლო თბილისში – ყინულის სასახლე. პროექტირებისა და სამუშაოების წარმოებისას სრულად არის დაცული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აბსოლუტურად ყველა მოთხოვნა და სტანდარტი.**



მჭიდრო თანამშრომლობისა და პერიოდული მისიების ფარგლებში, კომიტეტთან თანხმდება ნებისმიერი საკითხი. ამ პროექტების შედეგად, ქვეყანას ექნება ოლიმპიური სტანდარტის ინფრასტრუქტურა, რომელიც არა მხოლოდ ფესტივალის მიზნებისთვის, არამედ სპორტის შესაბამისი სახეობების განვითარებისთვის დიდ როლს შეასრულებს, – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ბაკურიანსა და თბილისში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოების მონახულების შემდეგ.

ბაკურიანში ბიატლონის და თხილამურებით რბოლის ტრასების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. რბოლის ტრასების ხელოვნური გათოვლიანებისთვის ეწყობა წყალმომარაგებისა და ელექტროსისტემებიც. დასრულების ეტაპზეა თბილისის ყინულის სასახლის კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობა და სამუშაოები ორივე პროექტზე მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

ჰოკეის, ფიგურული სრიალისა და კერლინგის სპორტის სახეობებისთვის გათვლილი თბილისის ყინულის სასახლე 700-მდე მაყურებელს დაიტევს. სასახლის შენობაში მოეწყობა ყინულის მოედანი (60მX30მ), სავარჯიშო, ქორეოგრაფიული, საგრიმიორო და საკონფერენციო დარბაზები, გასახდელები, ინვენტარის შესანახი, დასასვენებელი, სამედიცინო ოთახები და სველი წერტილები. ასევე, გათვალისწინებულია კაფე - მოედნის პანორამული ხედი და ავტოსადგომი. შენობაში მონტაჟდება გაგრილების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმს და ყინულის საფარის გაგრილებასთან ერთად, არეგულირებს ტენიანობის დონესა და მაყურებელთა სივრცის გათბობას. მოედანზე დამონტაჟდება ორი ტაბლო და განათების სისტემა.

**პროექტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50 მილიონ ლარზე მეტით ფინანსდება.**

# ჯარისკაცობა უდიდესი პრივილეგიაა



**სამხედრო მოსამსახურეებისთვის საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტი გრძელდება. მახათას მთაზე საბინაო პროექტის მეორე ეტაპი 2024 წელს დაიწყება და რამდენიმე წელში დასრულდება.**



**აღნიშნულის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ჩიქოვანმა განაცხადა. საბინაო პროექტის მეორე ეტაპი მიზნად ისახავს სამხედროების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და მომავალი სამხედროებისთვის მოტივაციის ამაღლებას.**

პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში, მახათას მთაზე 43 (ორმოცდასამი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი აშენდება. ბინების მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო ბენეფიციარების თანადაფინანსების წილი ერთ კვადრატულ მეტრზე უპრეცედენტოდ დაბალ ფასს – 100 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) შეადგენს, რომლის დასაფარად უპროცენტო შიდა განვადება იმოქმედებს.

გეგმის მიხედვით, თავდაცვის უწყებაში მომუშავე ოფიცრები და სერჟანტები საცხოვრებელ ფართებს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად მიიღებენ. სულადობის პრინციპის გათვალისწინებით, სამხედროები 50, 80 და 110 კვ. მეტრი ფართის ბინებს მიიღებენ.

საბინაო პოლიტიკის შეუქცევადობა კანონმდებლობით არის გამყარებული, რაც ნიშნავს, რომ პროექტი მომავალშიც გაგრძელდება. მინისტრის განცხადებით, პროექტის განგრძობითობა გაზრდის მოტივაციას და შექმნის ახალგაზრდა სამხედროების სამსახურში ჩართვის შესაძლებლობას.

მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. სამხედროებისთვის მახათას მთაზე უკვე აშენდა 39 კორპუსი, სადაც ბინა 1000-ზე მეტმა სამხედრომ მიიღო.

# დღეიდან, 2 ოქტომბრის ჩათვლით...

## შემოსავლების სამსახური საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის" მუშაობასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

**„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის, 18 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით 06:00 სთ-დან 09:00 სთ-მდე ,,ყაზბეგის" საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, ორივე ქვეყნის მიმართულებით შეიზღუდება. სგპ,,ყაზბეგის" მიმდებარე ტერიტორიაზე, საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე, დაგეგმილია გადაუდებელი საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, რის გამოც, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ავტომობილების გადაადგილება შეჩერებული იქნება.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანა-გატანა, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ ფიზიკურ პირთა მიმართ საბაჟო კონტროლის პროცედურები, დროის ამ მონაკვეთში ვერ განხორციელდება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნული დროის (06:00-09:00 საათი) ამოწურვის შემდეგ, საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი" ჩვეულ რეჟიმში, სრული დატვირთვით გააგრძელებს მუშაობას. შესაბამისად, მგზავრებისა და ტვირთების გატარება შეუფერხებლად განხორციელდება".



# აზერბაიჯანული კულტურის აკვანი შუშა




„...შუშა არის ყველაზე ძვირფასი და დიდი ისტორიის მქონე კუთხე აზერბაიჯანისთვის. მისი შემქმნელები, ქალაქის დამფუძნებლები და შუშას ციხის აღმშენებლები იყვნენ აზერბაიჯანის მიწის მფლობელები, რომლებმაც შექმნეს ის, რათა დაეცვათ და შეენარჩუნებინათ აზერბაიჯანის მიწები ყარაბაღში. ეს არის დიდი ძეგლი, რომელიც აზერბაიჯანელმა ხალხმა და ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს. შუშა მხოლოდ ქალაქი არ არის, ის არის დიდი ისტორიული ძეგლი.“

**ჰეიდარ ალიევი,**
**აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერი**

**XVIII საუკუნის შუა წლებში, ყარაბაღის ხანის ფანაჰალი ხანის მიერ დაფუძნებული შუშა გახდა აზერბაიჯანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი. თავდაპირველად ამ დასახლებას „ფანაჰაბა“ ეწოდა ფანაჰალი ხანის პატივსაცემად, ხოლო მოგვიანებით „შუშის ციხე“ და „შუშის ქალაქი“ გახდა მისი სახელი.**

ფანაჰალი ხანის პერიოდში ქალაქში მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. იბრაჰიმხალილ ხანის პერიოდში შუშის ციხის






კედლები და სტრატეგიული მნიშვნელობის კოშკები აშენდა. ქალაქი სწრაფად გაიზარდა. თავისი ბუნებრივი სილამაზით, მაღალი ნაგებობებითა და მასიური ციხის კედლებით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა. შუშა არა მხოლოდ არქიტექტურით, არამედ თავისი სუფთა ჰაერითა და სამკურნალო თვისებებითაც ცნობილი იყო. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში შუშა გახდა კავკასიის მუსიკის ცენტრი და მსოფლიოში უნიკალური „ჰარიბულბული“ აქ იზრდება. შუშა როგორც ყარაბაღის სახანოს დედაქალაქს, „პატარა პარიზს“, „კავკასიის ხელოვნების ტაძარს“, „აზერბაიჯანული მუსიკის აკვანს“ და „აღმოსავლეთის კონსერვატორიას“ უწოდებდნენ. დიდი კომპოზიტორის, უზეირ ბეი ჰაჯიბეილის ძალისხმევით, შუშაში პირველად პროფესიულ მუსიკალურ განათლებას ჩეყარა საფუძველი.

შუშის ისტორიის კარგად მცოდნე ეროვნული ლიდერი დიდ ზრუნვას იჩენდა ქალაქის განვითარებაზე. ჰეიდარ ალიევი შუშას არ განიხილავდა რიგით ქალაქად, არამედ ხედავდა მას როგორც მდიდარ ისტორიულ ძეგლს და აზერბაიჯანელი ხალხის გმირობის სიმბოლოს. ამის გამო ქალაქის ისტორიული სილამაზის შენარჩუნებისა და ძეგლების აღდგენის მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა.

1990-იანი წლების დასაწყისში, სომხეთის შეიარაღებული ძალები, უცხოელი მხარდამჭერების დახმარებით, უტევდნენ აზერბაიჯანს ქვეყანაში არსებული ქაოსისა და ანარქიის გამოყენებით. ერთიანი არმიის არარსებობისა და ქვეყნის ლიდერების უუნარობის გამო, ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებული გახდა. 1992 წლის 8 მაისს შუშაც მტრის ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. სომხებმა აზერბაიჯანის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გაანადგურეს და ქალაქი ნანგრევებად აქციეს.

შუშაში, 1992 წლის 8 მაისს სომხური შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული ოკუპაციის დროს, 195 აზერბაიჯანელი მოქალაქე წამებით მოკლეს! 165 დაიჭრა, 150 მათგანი ინვალიდად იქცა, 552-მა ბავშვმა დაკარგა მშობლები და 20 000-ზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. 58 აზერბაიჯანელი დღემდე დაკარგულად ითვლება. 600-მდე ისტორიული არქიტექტურული ძეგლი და სხვადასხვა ტიპის შენობა განადგურდა.

2020 წლის 27 სექტემბერს, როდესაც სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს შეტევები ჩვენს პოზიციებსა და სამოქალაქო დასახლებებზე, აზერბაიჯანის არმიამ, ქვეყნის პრეზიდენტისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით დაიწყო წარმატებული კონტრშეტევა და 2020 წლის 8 ნოემბერს ქალაქი შუშა გაათავისუფლა. ჩვენი არმიის მამაცი და პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები ციცაბო კლდეებით ქალაქში ავიდნენ და ხელჩართული ბრძოლით გაასუფთავეს შუშა მტრისგან. ქალაქის ოკუპაციისგან გათავისუფლების შემდეგ, მტერი იძულებული გახდა, 10 ნოემბერს ხელი მოეწერა სამმხრივ განცხადებაზე, რომელშიც აღიარა თავისი დამარცხება აზერბაიჯანის არმიის წინაშე.

ამრიგად, ყარაბაღი, რომელიც აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილია, მთლიანად გათავისუფლდა ოკუპაციისგან.

შუშა ახლა თავისუფლად სუნთქავს. შუშა ყოფილ დიდებას იბრუნებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ილჰამ ალიევის დავალებით, მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს ისტორიული ძეგლების, გზების, საკომუნიკაციო ხაზების და ზოგადად მთელი ინფრასტრუქტურის აღდგენისა და განახლების მიზნით. შუშა, როგორც კულტურის აკვანი, მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში გააგრძელებს თავისი წვლილის შეტანას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის 2021 წლის 7 მაისის ბრძანებულებით, ქალაქი აზერბაიჯანის კულტურულ დედაქალაქად გამოცხადდა. ეს გაკეთდა ქალაქ შუშას ისტორიული იერსახის აღდგენის, ყოფილი დიდების დაბრუნებისა და ტრადიციული სრული კულტურული ცხოვრების დასაბრუნებლად, აგრეთვე აზერბაიჯანის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი კულტურის, არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით.

„შუშა ჩვენია! ყარაბაღი აზერბაიჯანია!“

* * *

**სტატია ქვეყნდება აზერბაიჯანის დიასპორის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით და პროექტის „ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის“ ფარგლებში.**

# სომხეთის პრემიერი საქართველოს სტუმრობდა

**16 სექტემბერს პირისპირ შეხვედრისას საქართველოსა და სომხეთის პრემიერებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ხაზი გაესვა საქართველოსა და სომხეთს შორის მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ გარდამტეხი როლი შეასრულა საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.**

**ირაკლი კობახიძემ სომხეთის პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ გაეროს რეზოლუციის მხარდაჭერისთვის.**



მხარეებმა განიხილეს რეგიონში არსებული დინამიკა. აღინიშნა, რომ საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამ კუთხით ხაზი გაესვა ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას რეგიონში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების პროცესში. აღინიშნა, რომ საქართველო მზად არის, მომავალშიც შეასრულოს დადებითი როლი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. მხარეებმა საქართველოსა და სომხეთს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს. ხაზი გაესვა ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობას. განიხილეს ასევე პარტნიორობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის, კომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში.

**„პრემიერ-მინისტრო, მჯერა, რომ ჩვენ გაგვაჩნია ისტორიული შესაძლებლობა, დავხუროთ კონფლიქტების თავი სამხრეთ კავკასიაში და შევქმნათ მდგრადი მშვიდობა ჩვენს რეგიონში. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მშვიდობა სასარგებლოა არა მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, არამედ საქართველო, თურქეთი და ირანიც მიიღებს სარგებელს თანაბრად. ამიტომაც, ყველა სირთულის მიუხედავად, ჩვენი მთავრობა გააგრძელებს ძალისხმევას, რომ რეგიონში მშვიდობა იყოს. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, რომ წვლილი შეიტანოს ამ პროცესში. თქვენი პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ წვლილი შეიტანოთ რეგიონული და საერთაშორისო სტაბილურობისა და მშვიდობის მიღწევაში, – განაცხადა სომხეთის პრემიერ-მინისტრმა.**

**„ს. რ.“**

# ეროვნული გმირის მემკვიდრე ლიკა შარტავა საპარლამენტო კანდიდატია



პოლიტიკურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო დეპუტატთა ოცეული გამოაცხადა. როგორც მოსალოდნელი იყო, უმალვე ყიჟინი მორთო რადიკალურმა ოპოზიციამ. ლაშა ტალახაძეს და გენო პეტრიაშვილს პოლიტიკის რა გაეგებათ, პარლამენტში არაფერი ესაქმებათო.

რა სიმდაბლეა, რა უგუნურობაა!

სრულიად ვეთანხმები და ვიზიარებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის მამუკა მდინარაძის მოსაზრებას: „ჩემთვის ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი და ასე ყველა ობიექტური ქართველი და ამ ქვეყნის მოქალაქე, ერთიც და მეორეც არის სიმბოლო ქართველობის, სიამაყის, შრომის, სამშობლოს სიყვარულიდან გამოწვეული ენთუზიაზმის, პრინციპულობის და ეს თვისებები, თუ იმისთვის არ არის საკმარისი, ადამიანი საპარლამენტო სიაში იყოს, მაშინ ლოგიკა არაფერში არ ყოფილა.“

დიახ, ბატონებო, რა აქვთ დასაწუნი რომელიმეს? რატომ არ უნდა იყვნენ, ან პარლამენტში ვინ უნდა იყოს თუ არა ისინი?

იგივე სიტყვები მსურს გავიმეორო ეროვნული გმირის ჟიული შარტავას შვილიშვილის, ჟურნალისტ ლიკა შარტავას საპარლამენტო სიაში დასახელების გამო.

ჩვენი ქვეყნის ისტორიამ, მათ შორის უახლესმა წარსულმა, არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ ერის ცხოვრებაში მშვიდობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მას განსაკუთრებით სჭირდება მოფრთხილება და შენარჩუნება, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის განვითარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი.

ვინ იცის ომის საშინელებისა და მშვიდობის ფასი უკეთ, ვიდრე ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ოჯახმა და მისმა შთამომავლებმა?

ბოლო წლებში, როცა ქვეყანამ არა მხოლოდ მშვიდობა შეინარჩუნა არამედ უკვე მეოთხე წელია გვაქვს შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა და ქვეყანამ მოიპოვა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. რომ კიდე უფრო წინ წავიწიოთ, ამისთვის პირველ რიგში მშვიდობის შენარჩუნება და დაცვაა საჭირო. დარწმუნებული ვარ პრლამენტის დეპუტატად არჩევის შეთხვევაში ლიკა შარტავა ყველაფერს იღონებს, რომ ბაბუის მსგავსად, უშიშრად, მედგრად და თავაწეული დადგება ქვეყნის კეთილი მომავლის სადარაჯოზე.

მტკიცედ მჯერა, ქვეყნის მმართველი გუნდი განუყრელად ივლის ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების, დეოკუპაციის და ევროპულ ოჯახში ღირსეული წევრობის გზაზე. ამ გზაზე აუცილებელია ის დეპუტატები, რომლებიც დაასახელა „ქართულმა ოცნებამ“... ეს არის ნაბიჯი რწმენით, ეროვნული იდენტობით და ტრადიციების შენარჩუნებით ევროპულ ოჯახში დამკვიდრებისკენ.

მახსოვს, ჟიული შარტავა პარლამენტის წევრად რუსთავის მოსახლეობის ერთსულოვანი მხარდაჭერით რომ აირჩიეს. უზნეო და მედროვე ადამიანებმა ლაფის სროლა დაუწყეს. გული ბევრჯერ ატკინეს. მიუხედავად ყველაფრისა, გმირ ქართველს თვითრწმენა არ გატეხია. პირიქით, ძალები მოიკრიბა და დაამტკიცა, რომ ღირსეულთა შორის ღირსეულია, სიცოცხლე შესწირა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ერთიანობისთვის ბრძოლას.

ბაბუის მაგალითის გამეორებას ლიკას არ ვუსურვებ. მჯერა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში საკუთარ წვლილს შეიტანს.

შიდა და გარეშე მტრების პირობებში საქართველოს პარლამენტისა და ხელისუფლების უპირველესი ამოცანა ქვეყნის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა გახლავთ. საჭიროა იმგვარად გავძლიერდეთ და მივიღოთ ეროვნული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები, რომელიც ქვეყანას სჭირდება.

ჟიული შარტავას მშობლიური სენაკის მცხოვრებნი მხარს ვუჭერთ ახალგაზრდა, პერსპექტიული ჟურნალისტის პოლიტიკაში შესვლას და ვუსურვებთ ბაბუის მსგავს ენერგიას, პრინციპულობას, ურყევ სიმედგრეს. სენაკი საქართველოს ერთიანობას შეწირული, ჟიულის თანამებრძოლების, გულანთებული გენო ადამიასა და გურამ გაბისკირიას მშობლიური ქალაქია!

**ყველა ვხვდებით, რომ წელს არ იქნება ჩვეულებრივი არჩევნები. ეს იქნება გადამწყვეტი ბრძოლა, სახალხო რეფერენდუმი, რომ გაიმარჯვოს მშვიდობამ, ქართულმა იდენტობამ, ტრადიციებმა. რომ ხანგრძლივი ვადით მოვიპოვოთ მშვიდობა, კეთილდღეობა, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენით გავხდეთ ევროპის სრულუფლებიანი წევრი.**



**ბორის დავითაია,**
სენაკის საპატიო მოქალაქე.

# „გვესმოდეს ერთმანეთის!“

## უნიჭიერესი აფხაზი მხატვრის ნიკა ემუხვარის სახელობის ფესტივალი



**თბილისში უნიჭიერესი აფხაზი მხატვრის ნიკა ემუხვარის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „გვესმოდეს ერთმანეთის!“ გაიხსნა. ფესტივალი იმ იდეების მატარებელია, რომლებიც ნიკას ხელოვნების მთავარი სათქმელი და გზავნილია – ახალგაზრდა შემოქმედთა თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის თავისუფლების მხარდასაჭერად! – პროექტს ორგანიზაცია „ქალები განათლებისა და დემოკრატიისათვის“ ახორციელებს.**

ნიკა ემუხვარი წარმოშობით სოხუმიდან იყო. ამიტომაც, აფხაზეთის თემას მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. უნიჭიერესი მხატვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოფენაც, **Сара Бара Бзиа Бзбои** („მიყვარხარ“) სწორედ აფხაზეთს მიეძღვნა. ნიკა ემუხვარის ნამუშევრები კერძო კოლექციებშია კანადაში, რუსეთში, ნიდერლანდებში, საქართველოში, საბერძნეთსა და ისრაელში.

**„არსებობენ ადამიანები, რომლებიც შემოდიან ჩვენს გონებაში, სულში, შემოდიან და შემოაქვთ ახალი სიცოცხლის სურნელი. შემოდიან და აღარ მიდიან. სამუდამოდ იკავებენ ჩვენი ქვეცნობიერის რაღაც ნაწილს და მერე ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გადადიან ცნობიერში.**

**ახალგაზრდა აფხაზი მხატვარი ნიკა ემუხვარი სიღნაღის გამოფენიდან გავიცანი. არისტოკრატიული ქართული სული დანახვისთანავე იგრძნობოდა მის ნახატებში. ყველა მათგანში განსაკუთრებულ მიზანს დებდა, თითოეულ პერსონაჟს უტოვებდა ან ანიჭებდა შინაგან სიღრმესა და სიმაღლეს, რადგან თავადაც ასეთი იყო – ღირსეული, თამამი, მეოცნებე, წარმოსახვის განსაკუთრებული უნარით.**

**ნიკა ღიმილის ბიჭი იყო, მხიარული და ბედნიერი, ზოგჯერ – დარდიანი, ტკივილიანი. მისი ცხოვრების აზრი, იდეებისა და ოცნებების პალიტრა მთელი სისავსით იშლებოდა ხატვის პროცესში. ამიტომაცაა მისი ქმნილებები ასე შთამბეჭდავი და მიმზიდველი.**

**ნიკას შემოქმედება, შეიძლება ითქვას, მისი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის პირობითი ილუსტრაციაა. ის საკუთარი ხელოვნებით თუ უბრალოდ სოციალური აქტივობით მონაწილეობას იღებდა თანამედროვე სამყაროს ფორმირებაში და ხდიდა მას უფრო ლამაზსა და მიმზიდველს.**

**საინტერესოა მისი შემოქმედების არა მხოლოდ მხატვრული ენა, არამედ მთავარი კონცეფცია. აქ არის სევდაც და სიყვარულიც – მძაფრი, ემოციური, მგზნებარე, დამაჯერებელი და ექსპრესიული. აქ არის აფხაზურ-ქართული ურთიერთობები, აქ არის ადამიანი, როგორც მთავარი ღირებულება თავისი ღირსებით, არა ფარისეველი, არა მზაკვარი, არა მატყუარა, არამედ ლამაზი, ნაღდი, ბუნებრივი თავისი ტკივილითა და სიხარულით, ზუსტად ისეთი, როგორიც იყო მხატვარი ნიკა ემუხვარი!“ – წერს ორგანიზაცია „ქალები განათლებისა და დემოკრატიისათვის“ ხელმძღვანელი ხათუნა მაჭავარიანი.**



* * *

**კონკურს-ფესტივალზე**, რომელიც 15 სექტემბერს გაიმართა, წარმოდგენილი იყო 10-დან 25 წლამდე ახალგაზრდების ნამუშევრები: ფერწერული, გრაფიკული, ციფრული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. თითოეულ ახალგაზრდას გადაეცა მონაწილის დიპლომი, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს კი – ფასიანი საჩუქრები და ფულადი პრემიები.

ღონისძიების მიზანია ახალგაზრდა ხელოვანთა მხარდაჭერა და წარმოჩენა, ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეული მონაწილე მიიღებს ახალ ემოციებსა და ცოდნას.

**გამოფენა გაიმართა გალერეაში „აბრეშუმის ფაბრიკა“. მისამართი – ქ.თბილისი, მ. კოსტავას 59.**





## ◉ ქართული ჭიდაობა

# ზეიმი, რომელიც არასდროს დაავიწყდებათ

**დიდი, ლამაზი და ისტორიული სოფელია ძლევიჯვარი (ქარელის მუნიციპალიტეტი), სტუმართმოყვარეობით განთქმული. აქ დაიბადა და გაიზარდა სახელოვანი სპორტსმენი და მწვრთნელი, 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, პარლამენტარი შოთა ხაბარელი, რომლის სახელობის ტურნირი ყოველწლიურად ტარდება სოფლის ცენტრში კეთილმოწყობილ საჭიდაოზე.**

იმ დღესაც გულშემატკივრებით გადაიჭედა ოლიმპიური ჩემპიონის სახელობის სარბიელის ტრიბუნები, თუმცა ყველა მსურველი ვერ დაიტია. ძლევიჯვარმა ტრადიციულ შეჯიბრებას უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში. სპორტის ამ სახეობის ფედერაციის (პრეზიდენტი **გელა გერუაშვილი**) თანადგომით ტურნირის სულისჩამდგმელი გახლდათ ადგილობრივი ბიზნესმენი **სლავა შერაზადიშვილი,** რომელმაც ღონისძიება 175.000 ლარით დააფინანსა.

საერთოდაც, თანასოფლელები ბატონ სლავას ძალიან ემადლიერებიან. მან ძლევიჯვარში საკუთარი სახსრებით ააშენა სასპორტო და სამონასტრო კომპლექსები, მსხვილფეხა საქონლისთვის განკუთვნილი ფერმა, 1500 მეწველ ძროხაზე, სადაც 200-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ,** პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა**, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ შამუგიამ,** სპორტის მინისტრის მოადგილემ **იოსებ გალდაურიამ,** პარლამენტარმა **შოთა ხაბარელმა,** ასევე, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, რომლებიც ძლევიჯვარს სტუმრობდნენ, უპირველესად, ეს ობიექტები დაათვალიერეს. მთავრობის მეთაურსა და სხვებს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა და დედათა მონასტრის წინამძღვარმა სქემ-მონაზონმა ვალერია სხილაძემ უმასპინძლეს...





მზე დასავლეთისკენ გადაიწვერა თუ არა, ზურნისა და დოლის ხმამ ძლევიჯვრელებს სტუმრებთან ერთად ქართული ჭიდაობის საქომაგოდ უხმო. საპრიზო ადგილებისთვის საბრძოლველად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 130-ზე მეტმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ძიუდოში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **გურამ თუშიშვილი** (თბილისი), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ლუკა მაისურაძე** (ხაშური), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში **ბექა ღვინიაშვილი,** ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **ბაგრატ ნინიაშვილი** (დმანისი) და სხვები.



ორთაბრძოლების დაწყებამდე მოზარდებმა საჭიდაო სარბიელთან ალყაში მოიქციეს ლეგენდებადქცეული სპორტსმენები - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე,** ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის მფლობელი **გენო პეტრიაშვილი,** პარიზის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ილია სულამანიძე** სელფების გადასაღებად და ავტოგრაფებისთვის.



მერე კი ზურნის ჭყვიტინმა, დოლის გრაგუნმა და ხალიჩაზე დატრიალებულმა ელვისებურმა ფანდებმა მიიპყრო მაყურებლების ყურადღება. ფალავნებმა, ვინ იცის, რამდენჯერ გამოსტაცეს სტრიბუნებს მქუხარე ოვაცია და ყიჟინა. შემთხვევითი და გასაკვირი არ ყოფილა ეს ხალხმრავლობა, რადგან ქართული ჭიდაობა, სიბრძნისა და სიძლიერის სიმბოლო, სოფლისთვის ყოველთვის წარმოადგენდა რაღაც უფრო მეტს, ვიდრე, უბრალოდ, სპორტს ან შოუს. ეს იყო ძალისა და სიძლიერის, ადამიანური თანადგომისა და გონებრივი სიმტკიცის ჭეშმარიტი გამოვლინება.

ჩოხოსან მოჭიდავეთა თითოეული მოძრაობა გმირული ისტორიების გაგრძელებას ჰგავდა. ორთაბრძოლებისას იკვეთებოდა ჭეშმარიტი ქართული სულის სიმბოლოები – პატივისცემა და ღირსება, რომლებიც მუდამ თან სდევს ქართული ტრადიციების მატარებელ ეროვნულ საუნჯეს. ამიტომაც თქვა ბატონმა ირაკლი კობახიძემ, რომ **„ჭიდაობა არის ჩვენი სიამაყე. მიხარია, რომ ტრადიცია გრძელდება და ამ კუთხითაც ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, მივულოცო ყველა გამარჯვებულსა და პრიზიორს, მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზატორს, ვინც ხელს უწყობს ამ ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიციის გაგრძელებას.**

**მადლობა სლავა შერაზადიშვილს, რომელიც იყო ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი, ქართული ჭიდაოგის ფედერაციას, ყველას, ვინც ამ საქმეს უძღვება"...**

გვიან საღამომდე გაგრძელდა პაექრობები. ტრიბუნების დატოვებაც არავის უცდია – დიდებიც და პატარებიც მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ თავიანთ რჩეულთ. ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. აბსოლუტურში გურამ თუშიშვილმა (თბილისი) აჯობა ყველას. ფინალში მან გორელი გიორგი პაპუნაშვილი დაამარცხა. მესამე ადგილები გიორგი ქავთარაძემ (თბილისი) და უჩა ტაბატაძემ (ზესტაფონი) დაიკავეს.

დანარჩენ სამ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**75 კგ.** 1. ბაგრატ ნინიაშვილი (დმანისი), 2. ერეკლე ოძელაშვილი (წყნეთი), 3. დავით ბახბახიშვილი (თელავი), საბა არავიაშვილი (ქარელი)

**85 კგ.** 1. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 2. ზურაბ ჭიღლაძე (გორი), 3. ჯუმბერ მელაძე (გორი), ზაურ დვალიშვილი (ხაშური).

**95 კგ.** 1. ლუკა მაისურაძე (ხაშური), 2. ბექა ღვინიაშვილი (ქარელი), ნიკა სიდამონიძე (ქარელი), გიორგი პაპუნაშვილი (გორი)

ჭიდაობის დასრულების შემდეგ დღესასწაულმა იქვე გაშლილ ველზე ღია ცისქვეშ სახელდახელოდ მოწყობილი სცენისკენ გადაინაცვლა. ახლა ქართულმა ჰანგებმა დაიპყრო ასობით მსმენელთა გრძნობა და გულები.

**ვაჟა დანელია,**
**გიორგი თარგამაძე.**
**სოფელი ძლევიჯვარი.**

## ◉ ოქტაგონზე



# ალალია!

**მერაბ დვალიშვილი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა დამსახურებულ ღირსების ორდენზე წარადგინეს.**

ასე დაფასდა საკადრისად უმსუბუქეს წონაში UFC-ის მეორე ქართველი ჩემპიონის მიერ ქართული სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი სოლიდური წვლილი და **ილია თოფურიას** გაკვალული ბილიკის ერთგულება.

დავძენთ, რომ საქართველო აშშ-სა და ბრაზილიის შემდეგ მესამე ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ერთდროულად ორ ჩემპიონის ქამარს ფლობს (სულ 8 წონაა).

## ◉ ლეგიონერი

# სრული სვლით!

**ხვიჩა კვარაცხელიამ სერია – ა-ში 50-ე ქართული გოლი გაიტანა და აქედან ზუსტად ნახევრის – 25 ბურთის ავტორი თვითონ გახლავთ.**

ეს ახლადდაწყებული კალჩოს მე-4 ტურში სარდინიაზე კალიარისთან 4:0 მოგებულ შეხვედრაში მოხდა, რომელშიც კვარამ და ბელგიელმა დებიუტანტმა **რომელუ ლუკაკუმ** შედეგიანი გადაცემები გაცვალეს და მათი დამრტყმელი დუეტი უკვე მოინათლა კვარაკაკუდ.

რაც შეეხება შეფასებებს, ხვიჩას 8,2-დან 8,8-მდე დაუწერეს, მისი გუნდი კი მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება სენსაციურ ლიდერ უდინეზეს. 21 სექტემბერს დიდი ბრძოლაა: იუვენტუსი – ნაპოლი!

## ◉ ორიოდე სიტყვით

**კონტაქტები**

**მზიურის პარკი. სოკა გრან პრი 7-ის საერთაშორისო ჩემპიონატი (16 გუნდი). ფინალი. თბილისის მერია – უკრაინა 1:1. პენალტების სერიაში სტუმრებმა გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ უახლოეს 3 ტურნირსაც საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს.**

**მაგიდის ჩოგბურთი**

**15 წლის ანასტასია ჩხარტიშვილი** მშვენიერთა სქესის პირველი წარმომადგენელია, ვინც ეროვნული სუპერლიგა მოიგო.

**ძიუდო**

**ხორვატეთი.** ზაგრების გრან პრი. **ბრინჯაო** – აკაკი ჯაფარიძე (90 კგ).



# უჩა აბაშიძის მეუღლემ დანაშაული აღიარა

**ბლოგერ უჩა აბაშიძის მეუღლემ მარიამ იაშვილმა სასამართლო სხდომაზე დანაშაული აღიარა და უდავოდ ცნო ბრალდების მტკიცებულებები, – ამის შესახებ საქმის პროკურორმა ანი ხახანაშვილმა დახურული სასამართლო სხდომის შემდეგ განაცხადა.მისივე თქმით, იაშვილმა აღიარა, რომ სექსუალურ მომსახურებას უწევდა სხვადასხვა მამაკაცს და ხდებოდა მისი გადაღება და კადრების შენახვა.** ამასთან, პროკურორის განცხადებით, იაშვილი ამ დრომდე დანაშაულს არ აღიარებდა და მეუღლის მსგავს პოზიციას გამოხატავდა. 17 სექტემბრის სასამართლო სხდომას არ დასწრებია უჩა აბაშიძე. მისმა ადვოკატმა, შოთა თუთბერიძემ განაცხადა, რომ საქმეში არსებულ ფირებზე, მტკიცებულებებზე შინაარსობრივად ვერ იმსჯელებენ, რადგან კანონის დარღვევით არის მოპოვებული. ადვოკატის თქმით, აბაშიძე დანაშაულს არ აღიარებს და მის დაკავებას პოლიტიკურს უწოდებს, კერძოდ, აქციებზე აქტიურობას უკავშირებს. საქმეში 80-მდე დაზარალებულია, რომლებმაც არ იცოდნენ პირადი ცხოვრების კადრების გადაღების შესახებ. ისინი სასამართლოში დახურულ სხდომებზე დაიკითხებიან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბლოგერი უჩა აბაშიძე 9 მაისს იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა. ასევე, შსს-მ დააკავა უჩა აბაშიძის მეუღლე მარიამ იაშვილი. ამასთან, როგორც შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი, უჩა აბაშიძემ, მეუღლესთან ერთად, განიზრახა სხვადასხვა პირთა ინტიმური კავშირის ამსახველი მასალების უკანონოდ მოპოვება და შენახვა. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა საცხოვრებელ ბინაში ფარულად დაამონტაჟეს სხვადასხვა ვიდეო-აუდიო-მოწყობილობები, რომელთა საშუალებითაც უკანონოდ ახორციელებდნენ სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებასა და შენახვას.




# სანთელი



## ზენათა ტურძილაძე-გურგენიძე

რომ იტყვიან, დიდი ოჯახის, საახლობლოსა და სამეზობლოს დედაბოძიო, სწორედაც რომ ზენათა ბიცოლაზეა ზედგამოჭრილი.

მასთან, როგორც ღირსეულ დიასახლისთან, ყველას მიგვიხაროდა და ისიც უშურველად გვაზერტყავდა მონაგარს მშობლიურ ამაგს. ერთი სიამოვნება გახლდათ, ამ ავკარგიან ქალბატონთან სტუმრად მისულთათვის მისი საარაკო დატრიალებითა და გამასპინძლებით ტკბობა.

ხოტეველთა საამაყო ზნაკველი რძალი საუკუნის თანატოლი გახდებოდა, რომ არა საშინელი პიროვნული ტრაგედიები, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, მართალთა განსასვენებელშიც ღირსეულად გადააფარებს მზრუნველ კალთას საყვარელ მეუღლეს – გურამ გურგენიძესა და საფიცარ უმცროს ვაჟს – გიზო გურგენიძეს, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მათი სულებისათვის ვილოცოთ.

**ნათელი და სანთელი, ძვირფასო ბიცოლა!**

**დავით და მარინა გურგენიძეები**

---



ბიძაშვილი ნათელა ვაჩნაძე, შვილები ერეკლე, ირინე ჟორდანიები, რძალი ლალი შილაკაძე, შვილიშვილები მარიამ ჟორდანია, ნიკა სიხარულიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## მანანა ლადოს ასული ასათიანი

---

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ თანაუგრძნობს თანგული სიხარულიძე-ფირცხალავას და მის ოჯახს, ძმის

## რობერტ დავითის ძე სიხარულიძის

გარდაცვალების გამო. უფალმა დაუმკვიდროს აწ გარდაცვლილს მარადიული სასუფეველი.

ს.ს. „ თბილქალაქმშენი“,

**თეიმურაზ ჯანაშია, ვაჟა ადეიშვილი, ნოდარ თოფურია, ირმა ხარანაული**

---

ნათელა ვასაძე შვილებით მარიკა და ირინე დანელიებით, მათი ოჯახებით, მწუხარებით იუწყებიან რძლისა და ბიცოლის

## ლიდა ფილინა-გეგეჭკორის

გარდაცვალებას.

იგი მუდამ დარჩება მეხსიერებაში სანათესაოსადმი გამორჩეული სითბოთი, სიყვარულით, დაუღალავი შრომით, მეუღლისა და დედობის ეტალონად, დიდი ოჯახის ღირსეულ დედაბოძად.

**სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახსა და ახლობლებს.**

**დაკრძალვა მარტვილში, 19 სექტემბერს.**

---

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ეკოვილსის“ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღდგენის (საბურავების გადამუშავება) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 3 ოქტომბერი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 10 სექტემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია ნარჩენებისგან გაიწმინდა

**დასუფთავების კვირეულთან დაკავშირებით, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებმა სანაპირო ზოლის ერთ-ერთი მონაკვეთი დაასუფთავეს.**



თბილისის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, აქციაში მონაწილეობა მიიღეს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა დავით ფაჩულიამ და ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძემ.

„დასუფთავების აქციები მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის. ყველამ უნდა გავიაზროთ, რამდენად დიდ ზიანს ვაყენებთ გარემოს ნარჩენების ასეთ რეკრეაციულ სივრცეებში განთავსების შედეგად. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოსახლეობას, კონტეინერებში განვათავსოთ მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ნუ დავანაგვიანებთ გარემოს“, – აღნიშნა დავით ფაჩულიამ.

დასუფთავების საერთაშორისო კამპანიას ყოველწლიურად დედაქალაქიც უერთდება. მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვითი აქტივობა.

# გიორგი ცაბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გალა კონცერტი




**18 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გიორგი ცაბაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო გალა კონცერტი დაიგეგმა.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს 2024 წლის 24 აგვისტოს 100 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო წელთან დაკავშირებით შეიქმნა ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც ოთხ დიდ ქალაქში გალა კონცერტები გაიმართა. **„გიორგი ცაბაძე თეატრსა და კინოში“** – ამ თემას მიეძღვნება კომპოზიტორის საიუბილეო გალა კონცერტი თბილისში, მაყურებელი ერთ სცენაზე იხილავს როგორც კინოსა და თეატრის, ასევე ესტრადის არაერთ ვარსკვლავს. საქართველოს ქალთა კამერული ორკესტრისა და დავით მაზანაშვილის ბენდის თანხლებით თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის სცენაზე გაჟღერდება კომპოზიციები და გაცოცხლდება სცენები ცნობილი მიუზიკლებიდან, კინოსა თუ სპექტაკლებიდან. მოისმენთ ამბებს კომპოზიტორის ცხოვრებიდან, რომელიც ამ დრომდე არ გაჟღერებულა.

**დღეს გალა კონცერტი საღამოს 8 საათზე დაიწყება.**

# „სიყვარული“ რუსთავის ცენტრალურ პარკში განთავსდა



**რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი კიდევ ერთი სკულპტურა, რუსთავის ცენტრალურ პარკში განთავსდა.**

„სიყვარული“ – ასეთი სახელწოდება აქვს რუსთაველი სკულპტორის ივანე გულდედავას ნამუშევარს, რომელიც ნავით მოსეირნე წყვილს განასახიერებს და თეთრი ეკლარის ქვაშია შესრულებული. ქანდაკება, ქალაქის ცენტრალური პარკის შესასვლელში ტბასთან დაიდგა, რითაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა ბუნებრივი ტყე-პარკის ლანდშაფტი. ქანდაკების პარკში მონტაჟის პროცესს რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი, რუსთავისა და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატი საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი შატაკიშვილი დაესწრნენ.



# ტრამპზე თავდასხმის ადგილი წინასწარ არ შეუმოწმებიათ!



**აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა აღიარა, რომ „რესპუბლიკური“ პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის კუთვნილი გოლფ კლუბის ტერიტორია, სადაც მასზე თავდასხმა მზადდებოდა, წინასწარ არ შეუმოწმებია.**

„საიდუმლო სამსახურს კვირას ფლორიდის შტატის ქალაქ უესტ-პალმ-ბიჩში მდებარე გოლფ კლუბი Trump International-ი ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მისვლამდე არ შეუმოწმებია. ეს არის აღიარება, რომელმაც ისედაც დიდი წნეხის ქვეშ მყოფი უწყება კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოაჩინა“, – ნათქვამია სტატიაში.

საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის რონალდ როუს თქმით, ტრამპს 15 სექტემბერს გოლფ კლუბი არ უნდა მოენახულებინა. „როუმ განაცხადა, რომ „რესპუბლიკელების“ პრეზიდენტობის კანდიდატის ოფიციალურ განრიგში გოლფის სათამაშო მოედნის მონახულება არ ეწერა“, – აღნიშნავს გამოცემა.

გაზეთი გამოძიების ფედერალურ ბიუროზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ტრამპზე თავდასხმის მომზადებაში ეჭვმიტანილმა მამაკაცმა, 58 წლის რაიან უესლი რუთმა დაუბრკოლებლად შეაღწია გოლფ კლუბის ტერიტორიაზე და 12 საათის განმავლობაში იქ იმყოფებოდა.

# „ღმერთის მთაზე“ მეცნიერებმა „გაბერილი“ ვულკანი აღმოაჩინეს!



**ტანზანიაში მეცნიერებმა ვულკანი აღმოაჩინეს, რომელიც იღვიძებს. მოსალოდნელი ამოფრქვევის შესახებ ისინი მოსახლეობას აფრთხილებენ.**

ვულკანი „ღმერთის მთაზე“ მდებარეობს.

მკვლევრების განცხადებით, ვულკანი „იბერება“ და იღვიძებს, რადგან მის ქვეშ მაგმის დიდი მასა გაედინება.

მე-20 საუკუნის განმავლობაში, 2962 მეტრის სიმაღლის ვულკანი ყოველი 20-40 წლის განმავლობაში იღვიძებდა.

ვულკანის ბოლო ამოფრქვევა 2007 წელს მოხდა და მის მიერ ამოფრქვეული ფერფლი 16 კილომეტრის მანძილზე გავრცელდა. ვულკანის ამოფრქვევის შედეგად, ათასობით ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო.

# ევროპაში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 18-მდე გაიზარდა

**ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 18-მდე გაიზარდა.**

რამდენიმე დაკარგულ ადამიანს მაშველები ამ დრომდე ეძებენ.

სტიქიამ მსხვერპლი ჩეხეთში, რუმინეთში, პოლონეთსა და ავსტრიაში გამოიწვია. პოლონეთის ქალაქ ნისაში, უკიდურესად მძიმე ვითარების გამო, მერმა ქალაქის მთელ მოსახლეობას ევაკუაციისკენ მოუწოდა. საცხოვრებლის დატოვება საერთო ჯამში 44 ათას მცხოვრებს მოუწევს.

სტიქიის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობს ჩეხეთშიც. ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მასშტაბურ წყალდიდობას ებრძვიან სლოვაკეთშიც, მდინარე დუნაის ადიდებამ დედაქალაქ ბრატისლავას ისტორიული ნაწილი დატბორა. უნგრეთში კი წყალდიდობის გამო შეფერხებით მუშაობს საქალაქთაშორისო ტრანსპორტი.



# ძაღლის ყოლა ხანდაზმულებში დემენციის რისკებს 40 პროცენტით ამცირებს

**როგორც ბოლოდროინდელი კვლევა ცხადყოფს, გარდა იმისა, რომ ძაღლი ადამიანის საუკეთესო მეგობრადაა აღიარებული, მასთან ურთიერთობას ტვინსა და ზოგად ჯანმრთელობაზე პირდაპირი სარგებელი მოაქვს.**

იაპონიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ოთხფეხა მეგობარი განსაკუთრებით დიდ გავლენას 65 წელს ზემოთ ადამიანებზე ახდენს. პირველ რიგში, ძაღლის ყოლა სახლიდან რეგულარულად გასვლის სიხშირეს ზრდის, რაც ხშირად ხანდაზმულების სოციალიზაციისა და ცხოვრების აქტიური წესის წინაპირობა ხდება. ეს არაპირდაპირი გარემოებები, როგორც მეცნიერები ამბობენ, საბოლოოდ, დიდწილად განაპირობებს ტვინის აქტივობისა და დემენციის განვითარების რისკების ალბათობას.

ცნობისთვის, დემენციის წამყვან მიზეზად ალცჰაიმერი მიიჩნევა. ალცჰაიმერი უმეტესად 65 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებში გვხვდება.



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.6985; ევრო - 3.0010;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5620;**
**100 რუბლი - 2.9626; თურქული ლირა - 0.0794;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5867;**
**1000 სომხური დრამი - 6.9615.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 20 სექტემბერს**